პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 183 (10272)

კვირა 7 აგვისტო 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

# დადგენილება
## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენება ოთხი სახელმწიფოს — საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო სავსებით იწონებს სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის მოღვაწეობას აღნიშნულ თათბირზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ჟენევის თათბირზე თანმიმდევრულად ახორციელებდა საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად ამ ბოლო დროს რამდენადმე შენელდა საერთაშორისო დაძაბულობა, რომელიც სახელმწიფოებს შორის წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. დაძაბულობის ასეთ შენელებას ხელი შეუწყო უწინარეს ყოვლისა კორეაში ომის, აგრეთვე ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტამ; ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადებამ; სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციამ, რამაც გზა გაუხსნა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას ორივე ქვეყანას შორის; აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის წარმატებით ჩატარებამ; ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯ. ნერუს ვიზიტმა საბჭოთა კავშირში, რის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის. საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მთავრობის 10 მაისის წინადადებას შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ.

ყოველივე ამან, აგრეთვე მშვიდობისათვის საერთო სახალხო მოძრაობის მძლავრმა ზეგავლენამ მთავრობათა საგარეო პოლიტიკაზე ხელსაყრელი ვითარება შექმნა ჟენევის თათბირის წარმატებისათვის.

მთელი მსოფლიოს ხალხებს, რომლებიც უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს თათბირის მუშაობას, არ გაცრუებიათ იმედები. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოთა ურთიერთობის და უწინარეს ყოვლისა თათბირის მონაწილე დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში. ამ თათბირს ისტორიული მნიშვნელობა აქვს და მოასწავებს ახალი ეტაპის დაწყებას სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებაში, განურჩევლად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა, მშვიდობიანი თანაარსებობის და სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარების საფუძველზე, ურომლისოდაც შეუძლებელია „ცივი ომის" შეწყვეტა და მტკიცე და ხალხებს შორის ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ჟენევის თათბირის მთავარი ნიშანი იყო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება, რაც აუცილებელია სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარებისათვის. ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურები იჩენდნენ თანამშრომლობის კეთილ ნებას და მისწრაფებას გამოენახათ გზა შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მისაღწევად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც გაიმართება ამა წლის ოქტომბერში, იხელმძღვანელებს რა მთავრობათა მეთაურების მიერ შემუშავებული დირექტივებით, შემდგომ ნაბიჯს გადადგამს გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მოწესრიგების გზაზე.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ ჟენევის თათბირზე დამყარებული ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების პირადი კონტაქტები ხელს უწყობენ საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას ქვეყნებს შორის. ამ პირადი კონტაქტების შემდგომი განვითარება, ეჭვი არ არის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმის განმტკიცების ინტერესების შესაბამისი იქნება.

საერთაშორისო ვითარების შენელების საქმეში დადებითი ფაქტია აგრეთვე უშუალო ურთიერთობის დამყარება პარლამენტებს შორის და პარლამენტთა დელეგაციების გაცვლა, რაც ხორციელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ეს კონტაქტებიც გაფართოვდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ უფრო ფართო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარება ქვეყნებს შორის, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა, სუვერენულ უფლებათა პატივისცემის, მათს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე, შეესაბამება ხალხთა ინტერესებს და გამოიწვევს მშვიდობის, მეგობრობის და თანამშრომლობის განმტკიცებას მათ შორის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დარწმუნებულია, რომ ჟენევის თათბირი და ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივები საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი იმის ახალი სტიმული იქნება, რომ შემდგომ გაძლიერდეს ხალხთა ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. მშვიდობისმოყვარე ხალხები უეჭველია გამოიჩენენ ჯეროვან სიფხიზლესა და საჭირო სიმტკიცეს იმისათვის, რომ ჟენევაში ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების მიერ დასმული ამოცანები განხორციელდეს კონკრეტული გადაწყვეტილებებით საყოველთაო მშვიდობისა და ყველა ხალხის უშიშროების ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და კვლავ განახორციელებს მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ეცდება, რომ სახელმწიფოებს შორის დამყარდეს ნდობა, რათა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები მშვიდობიანად გადაიჭრას მოლაპარაკების გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ ამ გზაზე მას მხარს დაუჭერს ყველა პარლამენტი და მთავრობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ღრმად არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხალხი, რომელიც გამსჭვალულია მხურვალე და გულწრფელი მისწრაფებით — იქონიოს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ყველა ხალხთან, ერთსულოვნად უჭერს რა მხარს თავისი მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას და აღფრთოვანებულია კომუნისტური მშენებლობის დიადი იდეებით, კვლავაც შეუსუსტებელი ენერგიით იბრძოლებს თავისი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის საბოლოო სიტყვა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე 1955 წ. 5 აგვისტოს

ამხანაგო დეპუტატებო!

დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ მოხსენების განხილვამ და დეპუტატების სიტყვებმა დაგვანახვა, რომ უმაღლესი საბჭო სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის პოზიციას და მოღვაწეობას აღნიშნულ თათბირზე. (მქუხარე ტაში).

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ჟენევის თათბირზე თანმიმდევრულად ახორციელებდა საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ამ პოლიტიკის საფუძველი იყო, არის და კვლავ იქნება სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი.

საბჭოთა კავშირის მთავრობა კვლავაც განუხრელად განახორციელებს საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია დაძაბულობის შემდგომი შენელება და ნდობის განმტკიცება სახელმწიფოთა ურთიერთობაში, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, ითვალისწინებს რა, რომ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებსა და უმხურვალეს მისწრაფებას — მათ მისწრაფებას მშვიდობისა და სიმშვიდისადმი. (ტაში).

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირს მოჰყვა დადებითი შედეგები მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის და დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღება მთელ რიგ ურთულეს საერთაშორისო საკითხებზე.

ჟენევის თათბირის წარმატებას ცოტათი როდი შეუწყო ხელი საბჭოთა მთავრობის დელეგაციის საქმიანმა და რეალისტურმა მიდგომამ საერთაშორისო პრობლემების განხილვისადმი და მისმა მისწრაფებამ მიღწეულ იქნას ამ პრობლემების გადაჭრა მოლაპარაკების გზით.

არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ აგრეთვე ჟენევის თათბირის სხვა მონაწილეთა და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა დელეგაციების მეთაურების, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონ დ. ეიზენჰაუერის, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ბატონ ა. იდენისა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ე. ფორის მეცადინეობა.

მიუხედავად სხვადასხვა პოზიციებისა განსახილველი პრობლემების არსზე, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურებმა, ისევე როგორც ჩვენ, გამოიჩინეს კეთილი ნება, გულწრფელი მისწრაფება გამოგვენახა საერთო ენა და დაგვესახა გზები საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის. (ტაში). ჟენევის თათბირის დადებითი შედეგები ნაყოფია თათბირის ყველა მონაწილის ერთობლივი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანი იყო ურთიერთგაგების მიღწევა და ურთიერთ მისაღებ გადაწყვეტილებათა გამოძებნა, რომლებიც გაითვალისწინებდნენ ყველა მხარის ინტერესებს.

ეჭვი არ არის, რომ ჟენევის თათბირის მონაწილეთა არაერთგზის განცხადებას იმის შესახებ, რომ მათ განზრახული აქვთ მშვიდობიანი გზით გადაჭრან არსებული უთანხმოებანი, გამონახონ ყველა საერთაშორისო პრობლემაზე თვალსაზრისთა შეთანხმების შესაძლებლობანი და ეცადონ ამ პრობლემების ისე გადაჭრას, რომ ეს შეესაბამებოდეს ყველა მხარის სამართლიან მოთხოვნებს, დიდი დადებითი მნიშვნელობა უნდა ექნეს დიდ სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარებისათვის.

საბჭოთა მთავრობის სახელით მე მსურს აგრეთვე დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ თავის განცხადებებსა და გამოსვლებში მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბატონმა დ. ეიზენჰაუერმა, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ა. იდენმა და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ე. ფორმა გამოთქვეს სურვილი, რომ [illegible] შენარჩუნებულ იქნეს თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება, რომელიც ახასიათებდა ჟენევის თათბირის ატმოსფეროს. (ტაში). [illegible]

[illegible] ლიად გაქრება დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში და დამყარდება სრული ნდობა სახელმწიფოებს შორის.

ამიტომ ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირს. ამ თათბირმა უნდა განაგრძოს განხილვა და დასახოს ეფექტიანი ღონისძიებანი იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც მთავრობათა მეთაურებმა განიხილეს ჟენევაში. მთავრობათა მეთაურების დირექტივების შესაბამისად საგარეო საქმეთა მინისტრებმა უნდა განიხილონ ყველა წინადადება, რომლებიც წამოყენებულ იქნა ჟენევის თათბირის მსვლელობაში, და გაითვალისწინონ მთავრობათა მეთაურების მიერ გამოთქმული აზრები.

ჩემს მოხსენებაში მე უკვე აღვნიშნე, რომ საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებათა მტკიცედ შესრულებას.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ უცხოეთის ზოგიერთი გაზეთი, იმოწმებს რა ჩემს მოხსენებაში მოყვანილ მოსაზრებებს ჟენევის თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბატონ დ. ეიზენჰაუერის მიერ განიარაღების შესახებ წამოყენებულ წინადადებათა გამო, სრულიად არასწორად ცდილობს ისე დასახოს საქმე, თითქოს საბჭოთა მთავრობა მთლიანად უარყოფს ამ წინადადებებს.

ჩვენ, ბუნებრივია, მხურვალე მომხრენი ვართ ჩვენი საკუთარი წინადადებებისა შეიარაღების შემცირების და ატომური ომის აკრძალვის საკითხებზე, მაგრამ ჩვენ არ ვამბობთ უარს სერიოზულად განვიხილოთ ყოველი სხვა წინადადება, რომელიც გამსჭვალულია მისწრაფებით გამოინახოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები. (ტაში). როგორც უკვე აღვნიშნე ჩემს მოხსენებაში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის წინადადება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო ინფორმაციის გაცვლის ორგანიზაციისა და ორივე ქვეყნის ტერიტორიების ურთიერთ აეროფოტოგადაღებათა მოწყობის შესახებ არის სწორედ ასეთი წინადადება.

საბჭოთა მთავრობა ყურადღებით და სერიოზულად სწავლობს და შეისწავლის ბატონ ეიზენჰაუერის წინადადებას, ითვალისწინებს რა, რომ საჭიროა დავაახლოოთ პოზიციები და მივაღწიოთ შეთანხმებას ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში.

დარწმუნებული ვართ, რომ შემდგომშიც ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენ ერთად ვივლით და საქმე უკეთ წავა, საქმე კარგად დამთავრდება. (ხანგრძლივი ტაში).

საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, ერთსულოვნად იწონებენ მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ხალხები. ეს გვაძლევს მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ აღებული საგარეოპოლიტიკური გეზი, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, სახელმწიფოებს შორის ნდობის დამყარება, ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილება, სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის დამყარება, განურჩევლად მათი საზოგადოებრივი სისტემებისა, უზრუნველყოფს ჩვენი საგარეო პოლიტიკის შემდგომ წარმატებებს. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის 5 აგვისტოს საღამოს სხდომა მიმდინარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის **ა. პ. ვოლკოვის** თავმჯდომარეობით. გრძელდებოდა კამათი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ.

ურალის მშრომელთა სახელით დეპუტატმა **ი. ი. ჩურსინოვმა** კმაყოფილება გამოთქვა იმ ნაყოფიერი მუშაობის გამო, რომელიც საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ შეასრულა.

— ჟენევის თათბირის წარმატება, — ამბობს ი. ი. ჩურსინოვი, — ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის წარმატებაა. დაე განმტკიცდეს და განვითარდეს ურთიერთკავშირი, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ხალხთა შორის.

ჟენევის თათბირმა გამოიწვია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, თქვა დეპუტატმა ჩურსინოვმა, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ის, რომ უცხოეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ არიან ადამიანები და პრესის ორგანოები, რომლებიც ამცირებენ ჟენევის თათბირის მნიშვნელობას, ქადაგებენ გამალებული შეიარაღების გაგრძელებას, „ცივი ომისაკენ" ეწევიან ხალხებს. აი რატომ უნდა ვიყოთ ფხიზლად, ვიყოთ მუდამ მზად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, მუშებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უნდა ვიშრომოთ კიდევ უფრო დიდი ენერგიით და ნაყოფიერებით. ორატორმა ილაპარაკა ურალის მშრომელების საწარმოო წარმატებებზე.

დეპუტატი **ფ. ს. გენერალოვი** (რუსეთის სფსრ) აცხადებს, რომ კოლმეურნეები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, მის დაუცხრომელ ზრუნვას მშვიდობის შენარჩუნებისათვის. მოსკოვის ოლქის ლუხოვიცის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობის მაგალითით, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ფ. ს. გენერალოვი ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის კოლმეურნე გლეხობა, მუშათა კლასის მხარდაჭერით, არ იშურებს შრომასა და ძალებს, რათა შექმნას სურსათის სიუხვე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მრეწველობისათვის, და ყველაფერს აკეთებს, რათა თავისი შრომითი წვლილი შეიტანოს მშვიდობის განმტკიცების საყოველთაო-სახალხო საქმეში.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატებანი, ისევე როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის წარმატებანი, ამბობს ორატორი, აღაფრთოვანებენ კოლმეურნეებსა და ყველა საბჭოთა ადამიანს ახალი გამარჯვებებისათვის შრომაში.

შემდეგ გამოსულმა დეპუტატმა **ი. გ. კებინმა** (ესტონეთის სსრ) აღნიშნა, რომ ჟენევის თათბირი ისტორიული ნიშანსვეტია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარებაში. ომისა და დროებითი ოკუპაციის შედეგად ესტონელმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო, და მას სძულს ომი, მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ორატორი შემდეგ ახასიათებს დიდ წარმატებებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რომლებსაც ესტონელმა ხალხმა მიაღწია ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის დღიდან განვლილი თხუთმეტი წლის მანძილზე. იგი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში ქვეყნებს შორის კონტაქტის განვითარებას. საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ასეთი კონტაქტი ვითარდებოდეს. მაგრამ, ამბობს ი. გ. კებინი, ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან ბოროტგანმზრახველი ადამიანები, რომლებიც ავრცელებენ ჭორებს იმ მდგომარეობაზე, რაც საბჭოთა რესპუბლიკებში, კერძოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშია. დელეგაციათა ურთიერთგაცვლა ხელს შეუწყობს ბრძოლას ამ დეზინფორმაციის წინააღმდეგ.

სიტყვა ეძლევა კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **მ. ა. სუსლოვს.**

იგი აღნიშნავს, რომ ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენებასა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატების სიტყვებში ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების და მნიშვნელობის საკითხი ყოველმხრივ გაშუქდა და რომ ყველა წარმოთქმულ სიტყვას წითელ ზოლად გასდევს აზრი, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ ჟენევის თათბირზე უდიდესი დადებითი მუშაობა შეასრულა.

— ჟენევის თათბირის შედეგები, — თქვა შემდეგ მ. ა. სუსლოვმა, — მოწმობენ, რომ გაკოტრდა ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წამლავდა საერთაშორისო ატმოსფეროს. მ. ა. სუსლოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ახლა, ჟენევის თათბირის შემდეგ, „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, არქივს ჩაბარდება საბოლოოდ და სამუდამოდ. დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამ სიტყვებს.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს ყველა ხალხთან, დეპუტატმა მ. ა. სუსლოვმა განაცხადა, რომ თუ მომავალში ყველა სხვა სახელმწიფო განაგრძობს ჟენევაში გამოვლინებული თანამშრომლობის სულისკვეთებას, მშვიდობის დაცვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ამოცანა წარმატებით გადაიჭრება.

უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების სახელით მ. ა. სუსლოვს სესიის განსახილველად შეაქვს პროექტი გადაწყვეტილებისა ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო, გადაწყვეტილებისა, რომელიც მთლიანად იწონებს სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის საქმიანობას ჟენევის თათბირზე. პროექტში აღნიშნულია, რომ ჟენევის თათბირი იმის მომასწავებელია, რომ ახალი ეტაპი დაიწყო სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესებაში, მიუხედავად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა, და ხაზგასმულია, რომ თათბირის მთავარი ნიშანი იყო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ სახელმწიფოთა შორის ნდობა დამყარდეს. პროექტში გამოთქმულია რწმენა, რომ ჟენევის თათბირი და ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების დირექტივები საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი ახალი სტიმული იქნება მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად ხალხთა ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის.

სესიის მონაწილენი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ დადგენილების პროექტს, რომელიც დეპუტატმა მ. ა. სუსლოვმა შეიტანა.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოვიდა წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ. დეპუტატები იღებენ ამ წინადადებას.

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ა. ბულგანინმა,** რომელსაც დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ნ. ა. ბულგანინმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ უმაღლესი საბჭო, როგორც კამათმა ცხადყო, სავსებით იწონებს ჟენევის თათბირზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის პოზიციასა და მუშაობას.

ჟენევის თათბირის წარმატებას, ამბობს იგი, ცოტათი როდი შეუწყო ხელი იმან, რომ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია საქმიანად და რეალისტურად მოეკიდა საერთაშორისო პრობლემების განხილვას, და იმან, რომ გამოამჟღავნა მისწრაფება მიღწეულ იქნას ამ პრობლემების გადაჭრა მოლაპარაკების გზით. ნ. ა. ბულგანინმა თქვა, რომ არ შეიძლება ჯეროვნად არ შევაფასოთ ჟენევის თათბირის სხვა მონაწილეების და, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების დელეგაციათა მეთაურების — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ეიზენჰაუერის, ინგლისის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ იდენის და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ფორის მეცადინეობა. ჟენევის თათბირის დადებითი შედეგები, განაცხადა ნ. ა. ბულგანინმა, ნაყოფია თათბირის ყველა მონაწილის ერთობლივი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია მიღწეულ იქნას ურთიერთგაგება და გამოინახოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, რომლებიც გაითვალისწინებდნენ ყველა ქვეყნის ინტერესებს.

გამოთქვა რა საბჭოთა მთავრობის სახელით დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ ჟენევის თათბირის დამთავრების შემდეგ თავიანთ განცხადებებში ეიზენჰაუერმა, იდენმა და ფორმა სურვილი გამოთქვეს შემდგომი მოლაპარაკების მსვლელობაში შენარჩუნებულ იქნას თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება, რაც ახასიათებდა ჟენევის თათბირის ატმოსფეროს. ნ. ა. ბულგანინმა განაცხადა, რომ ეს სურვილი სავსებით შეესაბამება საბჭოთა მთავრობის მისწრაფებებს. ამხ. ბულგანინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირს, რომელმაც უნდა განაგრძოს განხილვა და მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი იმ საკითხების გადაჭრისათვის, რომლებიც მთავრობათა მეთაურებმა ჟენევაში განიხილეს.

დასასრულ ამხ. ბულგანინმა რწმენა გამოთქვა, რომ შემდგომშიც ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლაში ჟენევის თათბირის მონაწილენი ერთად იქნებიან, და საქმე უკეთ წავა, საქმე კარგად დამთავრდება.

ნ. ა. ბულგანინის საბოლოო სიტყვის შემდეგ თავმჯდომარე კენჭს უყრის დადგენილების პროექტს, რომელიც ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიების სახელით შეიტანა დეპუტატმა მ. ა. სუსლოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად იღებს ამ დადგენილებას.

თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი ამბობს, რომ სესიის დღის წესრიგი ამოწურულია, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიას დახურულად აცხადებს. (საკდესი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# კამათი ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგების შესახებ ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო

### დეპუტატ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ხელმძღვანელობს რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, უკლებლივ ყველა ქვეყნის სრული თანასწორუფლებიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემის ლენინური პრინციპებით და ემყარება რა ვ. ი. ლენინის მოძღვრებას, რომ შესაძლებელია ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების ხანგრძლივი თანაარსებობა და მშვიდობიანი შეჯიბრება, — საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად და თანმიმდევრულად ახორციელებს საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, ყველა ხალხის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოება.

საბჭოთა კავშირს არავითარი ტერიტორიული პრეტენზია არა აქვს არც ერთ მის მოსაზღვრე სახელმწიფოსადმი, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნებისადმი.

ემყარება რა თავისი ტრადიციული სამშვიდობო პოლიტიკის პრინციპებს, საბჭოთა მთავრობამ ამ ბოლო დროს მიიღო მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დიდი მიღწევაა სახელმწიფო ხელშეკრულების დადება ავსტრიასთან. ამ საკითხის გადაჭრისას საბჭოთა მთავრობამ კვლავ დაამტკიცა, რომ მზად არის ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი გადაუწყვეტელი საერთაშორისო საკითხების მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით.

საყოველთაო მოწონება გამოიწვია პრესაში ამას წინათ გამოქვეყნებულმა ცნობამ ავსტრიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანისა და შესაბამისი რაოდენობით საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ.

საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს გულწრფელად სურთ, რათა შემდგომ ყოველი ღონისძიებით განმტკიცდეს მეგობრული ურთიერთობა იუგოსლავიის ხალხთან. ის, რომ საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება, კვლავ მკაფიოდ ადასტურებს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ ერთიანობას.

აქ, ჩვენს სესიაზე, ჩვენ მივესალმებით იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაციას, რომელიც ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. ვსარგებლობ სასიამოვნო შემთხვევით, რათა მივიწვიო ჩვენი იუგოსლავი ამხანაგები, თუ ისინი ამას მოისურვებენ, ინახულონ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც მათ შეხვდებიან როგორც სასურველ მეგობრებსა და ძვირფას სტუმრებს. (ტაში).

უკანასკნელი დროის მოვლენები კვლავ ცხადყოფენ, რომ, თუ საერთაშორისო საქმეებში დამკვიდრდება ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, ყოველი საკითხი შეიძლება გადაიჭრას ერთადერთი სწორი, კაცობრიობის ინტერესების შესაბამისი პოზიციებიდან — მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების პოზიციებიდან.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობების მეთაურთა ჟენევის ამასწინანდელ თათბირს განსაკუთრებული ადგილი უკავია თავისი მნიშვნელობით საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჟენევის თათბირი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობაში ახალი ეტაპის დასაწყისს. მსოფლიოს ხალხები, რომლებიც მტკიცედ მოითხოვდნენ ოთხი სახელმწიფოს მთავრობების მეთაურთა თათბირის მოწყობას, არ შემცდარან თავიანთ იმედებსა და მისწრაფებებში. ოთხი სახელმწიფოს მთავრობების მეთაურთა თათბირი, რომელმაც ურთიერთგაგებისა და იმ მისწრაფების სულისკვეთებით ჩაიარა, რომ გამოენახათ საერთო მიდგომა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების გადაჭრისადმი, უეჭველია თავის ისტორიულ როლს შეასრულებს ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებაში.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობების მეთაურთა დირექტივები საგარეო საქმეთა მინისტრებისადმი მოწმობენ მისწრაფებას, რომ ურთიერთნდობისა და პატივისცემის სულისკვეთებით, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაიჭრას საერთაშორისო პოლიტიკის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა და გერმანიის გაერთიანება, განიარაღება, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარება.

ევროპაში უშიშროების საკითხი ჟენევის თათბირის ყურადღების ცენტრში იდგა. ამ საკითხზე წინადადებათა კონსტრუქციული სულისკვეთება საშუალებას იძლევა წარმატებით გადაიჭრას ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა. ევროპის მილიონობით უბრალო ადამიანი მოელის კოლექტიური უშიშროების ისეთი სისტემის რაც შეიძლება მალე შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობას და არ დაუშვებს მილიტარიზმის აღდგენას, რომელსაც ხალხებისათვის აურაცხელი უბედურება მოაქვს.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ თავზე განვიცადეთ მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველი შედეგები, უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ევროპაში კოლექტიური უშიშროების ნამდვილი სისტემა, რომელიც გამორიცხავს ახალი სამხედრო კონფლიქტების წარმოშობას და ევროპის ხალხთა ინტერესების შესაბამისი იქნება.

საბჭოთა ადამიანები მოითხოვენ ერთიანი, დემოკრატიული გერმანიის შექმნას, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი სამხედრო ვალდებულებებისაგან და ემსახურება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას და არა მილიტარისტულ მიზნებს.

გამალებული შეიარაღება და მასთან დაკავშირებული უდიდესი ხარჯები მძიმე ტვირთად აწვება ხალხებს და საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს. მეორე მხრივ, ახალ სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღი მძიმე უბედურებას უქადის მთელ კაცობრიობას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ განიარაღების საკითხს, რომლის განხილვის დროსაც ჟენევის თათბირზე საბჭოთა კავშირმა დიდი წვლილი შეიტანა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს ხალხები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ ჟენევის თათბირის ყველა მონაწილე მზად არის გამონახოს ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის შეთანხმებული გადაწყვეტა.

ამხანაგო დეპუტატებო! ჟენევის თათბირის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგია იმ ფაქტის აღიარება, რომ ხალხებს შორის შექმნილი ხელოვნური ბარიერები, ქვეყნებსა და ხალხებს შორის ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის შეზღუდვა ხელს უშლის საერთაშორისო თანამშრომლობას. ამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების განვითარების ძირითად საკითხებზე მიღებულ დირექტივებს ძვირფასი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ მნიშვნელობა პირადი კონტაქტისა და ურთიერთობისა როგორც სახელმწიფო მოღვაწეთა შორის, ისე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა შორის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებაში. პირადი კონტაქტი, დელეგაციების ურთიერთგაცვლა, კულტურული და ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცება, ტურიზმის ორგანიზაცია — ყოველივე ეს ეხმარება ხალხებს უკეთ გაიცნონ ერთიმეორე, გააბან მეგობრული კავშირი. ამ მხრივ უკანასკნელ დროს გადადგმულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც დიდ წვლილს წარმოადგენს მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში. კერძოდ, მხედველობაში მაქვს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია პარლამენტებს შორის უშუალო კავშირის დამყარებისა და საპარლამენტო დელეგაციების გაცვლის შესახებ.

როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა კარგად იციან, საბჭოთა კავშირში უკვე იყვნენ ინგლისის, ინდოეთის, სირიის, შვეციის პარლამენტების დელეგაციები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული საპარლამენტო ჯგუფები შევიდნენ საპარლამენტთაშორისო კავშირში.

ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს ემსახურება აგრეთვე ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ბატონ ნერუს ყოფნა საბჭოთა კავშირსა და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში; ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ხო ში მინის ყოფნა საბჭოთა კავშირში; საბჭოთა მთავრობის დელეგაციების ყოფნა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მშვიდობის განმტკიცებას უთუოდ უწყობს ხელს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დელეგაციების ურთიერთგაცვლა ერთი მხრივ სსრ კავშირსა და მეორე მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, ელბაზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა, სხვადასხვა ახალგაზრდული და სპორტული დელეგაციების ჩამოსვლა მოსკოვში.

უნდა მივესალმოთ ამხ. ნ. ა. ბულგანინის მომავალ გამგზავრებას ინდოეთში როგორც შემდგომ ნაბიჯს ინდოელ ხალხთან მეგობრობისა და ურთიერთობის განმტკიცებაში. ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ გადაწყვეტილებას მომავალი წლის გაზაფხულზე ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში გამგზავრების შესახებ და იმედი გვაქვს, რომ ეს გამგზავრება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხალხთა შორის თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს, ხელს შეუწყობს იმას, რომ გაფანტოს ის ზედმეტი და ყალბი, რაც ხელს უშლის ინგლისელ ხალხთან ჩვენი მეგობრული, კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა სხვადასხვა დელეგაციების გაცვლა საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის, რაც აგრეთვე დადებით გავლენას ახდენს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე. ამ საქმეს ყოველი ღონისძიებით უნდა დავუჭიროთ მხარი და წავახალისოთ — ეს მშვიდობის სასარგებლო იქნება. კერძოდ, ბევრი დელეგაცია იყო ჩვენს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში. 1954 წელს რესპუბლიკაში სტუმრად იყო 55 დელეგაცია, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 50 დელეგაცია, მათ შორის დელეგაციები ინდოეთიდან, საფრანგეთიდან, კანადიდან, ჩილიდან, სირიიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ყველას, ვინც ჩვენთან ჩამოდიოდა ღია გულით და იმ მისწრაფებით, რომ ობიექტურად და მიუკერძოებლად გასცნობოდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და კულტურას, ვხვდებოდით მეგობრულად და ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი გულითადი სტუმართმოყვარეობით. უცხოელ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ იმ უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა მიაღწიეს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად.

ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოება, დელეგაციების გაცვლა. ყოველივე ეს ქმნის გულითადობისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს, რაც ხელს უწყობს მეგობრული კავშირის განმტკიცებას და უკეთეს ურთიერთგაგებას საერთაშორისო ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თანამშრომლობის სულისკვეთებამ, რომელიც ჟენევის თათბირის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება იყო, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საერთაშორისო საქმეების შემდგომ განვითარებაზე. ამ მხრივ უნდა მივესალმოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების ჟენევაში დაწყებულ თათბირს ამ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ცალკეული საკითხების განსახილველად.

ეჭვი არ არის, რომ თუ ყველა, ვისზედაც ეს დამოკიდებულია, სალად შეაფასებს შექმნილ ვითარებას და რეალურად შეხედავს საგნებს, ჩვენ მალე მივაღწევთ მდგომარეობის დაძაბულობის შენელებას შორეულ აღმოსავლეთში, და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის კანონიერ ადგილს დაიკავებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ყოველი ღონისძიებით ხელს უწყობს რა მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს, საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავს ერთადერთ სწორ პოლიტიკას, ყველა ხალხის, პატარა და დიდი ხალხების ეროვნული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პოლიტიკას. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ მეგობრობა ყველა ხალხთან, ვეყრდნობით რა მთავარ მიზანს — მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

როცა სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანამშრომლობის განმტკიცებაზე ვლაპარაკობ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საჭიროა გაძლიერდეს ასეთი თანამშრომლობა ჩვენს სამხრეთელ მეზობლებთან — თურქეთთან და ირანთან. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთგაგების გაუმჯობესებას, მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

ამხანაგო დეპუტატებო! სულ უფრო ფართოდ იშლება საყოველთაო-სახალხო მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. იგი გახდა დიდი რეალური საერთაშორისო ძალა, რომელიც სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს მსოფლიო მოვლენების მსვლელობაზე. ახალ-ახალი მილიონობით ადამიანი, მიუხედავად რასისა და ეროვნებისა, პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენისა, დგება მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში. მშვიდობის დაცვისათვის ხალხთა ბრძოლა, რომლის ავანგარდშია საბჭოთა ხალხი, მილიონობით უბრალო ადამიანის მისწრაფება სახელმწიფოთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისადმი აიძულებს ყველას სულ უფრო მეტი ანგარიში გაუწიონ საერთაშორისო პოლიტიკის ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტორს.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მსოფლიოს მართავდეს და ხალხებს თავის კანონებს უკარნახებდეს არა მტრობა სახელმწიფოთა შორის, არამედ ურთიერთგაგება და კეთილი ნება. ამისათვის საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ხალხთა შორის თანამშრომლობა და მეგობრობა.

ყველა ერისათვის დიადი მაგალითია საბჭოთა წყობილებით შობილი ურღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებისა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გამოჭედა ერების კავშირი, გახადა იგი უმკვიდრეს გრანიტზე მკვიდრი, გადააქცია ხალხთა მეგობრობა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების ძლიერებისა და უძლეველობის მტკიცე და ურყევ საფუძვლად, დიად შემოქმედებით ძალად და ყველა მიღწევის წყაროდ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მოსახლე ყველა ხალხმა, საუკუნეებში გამოატარა ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი, მხურვალე მისწრაფება — იცხოვროს მეგობრულად სხვა ხალხებთან, როგორც ხატოვნად ამბობს დიდი პოეტი შოთა რუსთაველი: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ცხოვრობენ სისხლსავსე ბედნიერი ცხოვრებით. ჩვენ ყველაფერი გვაქვს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ვესწრაფვით მშვიდობას და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დიდი რუსი ხალხის მხარდამხარ, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში, დედამიწის ყველა ქვეყნის ხალხებთან ერთად ბოლომდე დავიცვათ მშვიდობის საქმე.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების, მძიმე ინდუსტრიის ზრდისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის გრანდიოზული სამუშაოები, რაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება, საყოველთაო-სახალხო ბრძოლა მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის ამოცანების რაც შეიძლება მალე განხორციელებისათვის — ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს ჩვენი მშრომელი ხალხის მისწრაფებას მშვიდობიანი შემოქმედებისადმი.

ბოლო მოეღოს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობას, მრავალი წლით უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე მშვიდობა — ასეთია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, უცხოეთის ასეულ მილიონობით ადამიანის მხურვალე სურვილი.

ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს მთლიანად მოწონებულ იქნას ჟენევის თათბირზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.

ჟენევის თათბირით დაიწყო ახალი ეპოქა საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა კვლავაც დავიცვათ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმე.

დაე რეალურ სინამდვილედ იქცეს ხალხთა საუკუნეობრივი ოცნება დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის შესახებ. (ტაში).

# საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის სხდომა

ამა წლის 5 აგვისტოს კრემლში, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ მ. ა. იასნოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის სხდომა.

მ. ა. იასნოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფში ამ დროისათვის შევიდა 1.250 დეპუტატი, რაც შეადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საერთო რიცხვის 92 პროცენტზე მეტს.

სხდომაზე, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დებულების შესაბამისად, არჩეულ იქნა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტი ნაცვლად დროებითი ბიუროსი, რომელიც შეიქმნა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის ჩამოყალიბების დროს.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე დეპუტატი დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ო. ვ. კუუსინენი და მ. ა. იასნოვი, საპარლამენტთაშორისო კავშირის საბჭოში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენლები დეპუტატები ნ. ა. მიხაილოვი და ი. ი. პალეცკისი, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მდივანი დეპუტატი ზ. ა. ლებედევა.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის წევრებად არჩეული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. ო. აბზალონ-საქსე, კ. ე. ალიევი, ა. ა. ანდრეევი, მ. გაბდულინი, მ. ა. იბრაგიმოვი, ლ. ფ. ილიჩოვი, ზ. იმანკალიკოვა, ი. ა. კაიროვი, ხ. კამალოვი, ქ. ვ. ლომთათიძე, ა. პ. ლუპანი, გ. ბ. პეტროსიანი, ა. მ. საფრონოვი, ნ. ს. ტიხონოვი, მ. ტურსუნ-ზადე.

სხდომაზე არჩეულ იქნა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის 44-ე კონფერენციაზე, რომელიც ამა წლის 25 აგვისტოს იხსნება ჰელსინკში. დელეგაცია არჩეულია 29 დეპუტატის — სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრების შემადგენლობით.

# ნოტების გაცვლა საბჭოთა მთავრობასა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას შორის

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 7 ივნისს სსრ კავშირის საელჩომ საფრანგეთში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის (დასავლეთი გერმანია) საელჩოს გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი იმ საკითხზე, რომ დამყარდეს პირდაპირი დიპლომატიური და სავაჭრო, აგრეთვე კულტურული ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის. საბჭოთა მთავრობის ნოტა შეიცავდა აგრეთვე გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანცლერის ბ-ნ კ. ადენაუერისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულ სხვა პირთა მიწვევას მოსკოვში იმ საკითხის განსახილველად, რომ დამყარდეს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის.

1955 წლის 30 ივნისს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საელჩომ პარიზში სსრ კავშირის საელჩოს გადასცა შემდეგი შინაარსის საპასუხო ნოტა:

## გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის ნოტა

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას პატივი აქვს აცნობოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას მისი 1955 წლის 7 ივნისის ნოტის პასუხად შემდეგი:

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის წინადადებისა განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ დამყარდეს დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის და შეისწავლონ ამასთან დაკავშირებული საკითხები. არსებულ გარემოებებში ფედერალური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დაზუსტებულ იქნას უწინარეს ყოვლისა საკითხები, რომლებიც უნდა გახდნენ ასეთი განხილვისა და შესწავლის საგანი, და გამორკვეულ იქნას მათი განხილვის რიგითობა. ამიტომ იგი წინადადებას იძლევა, რომ პარიზში მოეწყოს ფედერალური რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩოების არაოფიციალური მოლაპარაკება, რომლის მიზანი იქნება ასეთი საკითხების გამორკვევა.

1955 წლის 30 ივნისი.

3 აგვისტოს სსრ კავშირის საელჩომ საფრანგეთში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პარიზის საელჩოს საშუალებით გადასცა საბჭოთა მთავრობის ნოტა, რომლის ტექსტიც ქვემოთ ქვეყნდება:

## საბჭოთა მთავრობის ნოტა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ადასტურებს, რომ მიიღო გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის 1955 წლის 30 ივნისის ნოტა. საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს იმ თანხმობას, რომელიც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობამ ამ ნოტაში გამოთქვა, — განხილულ იქნას საკითხი, რომ დამყარდეს დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის, აგრეთვე განხილულ იქნას ამასთან დაკავშირებული საკითხები.

ამრიგად, რამდენადაც არსებობს ორივე მხარის თანხმობა იმაზე, რომ მოეწყოს მოლაპარაკება აღნიშნულ საკითხებზე, ასეთი მოლაპარაკება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის, საბჭოთა მთავრობის აზრით, შეიძლება მოეწყოს მოსკოვში ამა წლის აგვისტოს დამლევს — სექტემბრის დამდეგს, თუ ეს ვადა მისაღებია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისათვის.

საბჭოთა მთავრობის აზრით, მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც გაიმართება საბჭოთა მთავრობასა და კანცლერ ადენაუერის მეთაურობით გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დელეგაციას შორის, შეიძლება განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის და შესაბამისი დოკუმენტების გაცვლა;

სავაჭრო ურთიერთობის დამყარება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის და სავაჭრო ხელშეკრულების დადება;

კულტურული ურთიერთობის დამყარება და განვითარება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის და ამ მიზნით შესაბამისი კონვენციის დადება.

საბჭოთა მთავრობა ემყარება იმას, რომ დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარება ორივე ქვეყანას შორის, რასაკვირველია, არ იქნება შებოჭილი არც ერთი მხარის მიერ რაიმე წინასწარი პირობებით.

რაც შეეხება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის სურვილს მოეწყოს წინასწარი არაოფიციალური მოლაპარაკება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საელჩოებს შორის პარიზში, რათა დაზუსტებულ იქნას საკითხები, რომლებიც უნდა გახდნენ განხილვისა და შესწავლის საგანი მოსკოვში მოლაპარაკების დროს, საბჭოთა მთავრობას არაფერი აქვს საწინააღმდეგო აზრთა ასეთი წინასწარი გაცვლისა. საბჭოთა კავშირის მხრივ აზრთა ამ გაცვლაში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ა. ვინოგრადოვი.

1955 წლის 3 აგვისტო.

# კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე ტომი

გამოვიდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის მეორე ტომი, რომელიც მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ.

ტომი მოიცავს პერიოდს 1844 წლის სექტემბრიდან 1846 წლის თებერვლამდე. ტომი იწყება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პირველი ერთობლივი ნაწარმოებით „წმიდა ოჯახი, ანუ „კრიტიკული კრიტიკის“ კრიტიკა“, რომელშიც ჩამოყალიბებულია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მთელი რიგი დებულებანი. ტომში შედის აგრეთვე ფ. ენგელსის შრომა „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, რომელსაც ლენინი მსოფლიო სოციალისტური ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს აკუთვნებდა, აგრეთვე ენგელსის სიტყვები და სტატიები. მეორე ტომში მოთავსებული შრომები ასახავენ დიდმნიშვნელოვან ეტაპს მეცნიერული კომუნიზმის ფორმირების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარედაქციო ფოსტიდან

საკითხის დაყენების წესით

## გაჯის წარმოებას — მეტი ყურადღება

გაჯი იაფი საშენი მასალაა. გაჯს ახლა იყე-ბენ არა მარტო კედლების შესალესად, არამედ ორც სიმჭიდის თვისებიან მასალას. მას იყე-ბენ აგრეთვე ცემენტის კომპონენტად ზოგი სა-ბეტონში.

თბილისის მშენებელთათვის გაჯს განსაკუთ-რებული მნიშვნელობა აქვს, როგორც მასობრი-ვ გამოსაყენებელ ადგილობრივ საშენ მასა-ს, რომლის საბადოები ქალაქის გარეუბნებ-შია და მშენებლებს მისი შორი მანძილიდან ზიდვა, ამ საქმისათვის ტრანსპორტის დიდი ით გაცდენა არ უხდებათ.

მაგრამ ბოლო დროს შესამჩნევი გახდა გაჯზე ოთხოვნილების ზრდასთან ერთად მისი მოპო-ვებისა და გამოწვის შემცირება, რის გამოც გა-ის მომპოვებლები ვეღარ აკმაყოფილებენ მო-თხოვნილებას. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, ომ გაჯის მეურნეობა სრულიად მოუწესრიგებე-ლია. მის მოპოვებაზე მუშაობს ყველა ორგანი-ზაცია, ვისაც მოესურვება. მუშაობენ უწესრი-გოდ, უგეგმოდ, ზოგჯერ საბადოების დამუშა-ვება ხდება მტაცებლური მეთოდით, გაჯის მა-რაგი ნადგურდება და არავინ არის ისეთი, რომ ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს, თბილისის მი-დამოების ეს სიმდიდრე განადგურებას გადაარ-ჩინოს.

გარდა იმისა, რომ გაჯის მარაგი იკარგება, სა-ბადოები ნადგურდებიან, ამასთან ერთად შემ-თხვევითი მწარმოებლები აუარესებენ გაჯის გა-მოწვის ხარისხს.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თბილისის ქალაქის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება ამ საქმეს სათანადოდ ვერ უვლის. რამდენადაც ამ განყოფილებას შიანდეს ხელი მოეკიდა გაჯის წარმოებისათვის, სავსებით დაეკმაყო-ფილებინა თბილისის მშენებელთა მოთხოვნი-ლება და ამ მოსაზრებით ზოგ ორგანიზაციას ჩა-მორთვეს გაჯის წარმოების უფლება; მაგრამ რადგან ადგილობრივი მრეწველობის განყოფი-ლებამ თავი ვერ გაართვა ამ საქმეს, მშენებელ-თა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ვერ შეძ-ლო; გაჯის „მწარმოებელ" მოხალისე ორგანიზა-ციათა რაოდენობა ერთიორად და მეტად გაი-ზარდა. ახლა გაჯის საბადოებზე ისევ გაჩაღე-ბულია არასწორი მეთოდებით მუშაობა.

საჭიროა ერთხელ და საბოლოოდ მოწესრიგ-დეს თბილისის მშენებელთათვის გაჯის წარმოე-ბის საქმე. მხედველობაში მისაღებია ის გარე-მოებაც, რომ ახლა გაჯი თბილისიდან მიაქვთ რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მშენებლებსაც.

ვფიქრობთ, რომ გაჯის მეურნეობაში წესრი-გის დამყარება, ამ მეურნეობის პატრონობა მი-ზანშეწონილი იქნება მივანდოთ საშენ მასალათა მრეწველობის რესპუბლიკურ სამინისტროს, რო-მელსაც უნდა დაეკისროს ამ ბუნებრივი სიმდიდ-რის მოვლა და მისი რაციონალურად დამუშავე-ბის უზრუნველყოფა.

ყოველ შემთხვევაში გაჯის მეურნეობის ისეთ მდგომარეობაში დატოვება, როგორშიც ახლა არის, სახალხო მეურნეობის ინტერესთა თვალსა-ზრისით ყოვლად შეუწყნარებელია.

გაჯის მეურნეობას უნდა მივუჩინოთ თადარი-გიანი პატრონი.

**ა. ასათიანი,**
არტელ „ახალმშენის" გამგეობის თავმჯდომარე.

## მნიშვნელოვანი ნვრილმანი

თბილისის ქუჩებსა და ეზოებში ხშირად შეხვ-დებით ჯანმრთელობის დაცვის რაიონული გან-ყოფილების მიერ გამოყოფილ ექიმთა ჯგუფებს, რომლებიც დადიან და ყველა საშუალებით ებრ-ძვიან ეპიდემიურ სნეულებათა გავრცელების კე-რებს. ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ შედეგიც ძალიან კარგია. ეს რაზმები ეპიდემიის ყოველ ნიშანს ჩანასახშივე სპობენ. მაგრამ სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მუშა-კებს თავიანთ მუშაობაში ერთი მეტად სამარ-ცხვინო ხარვეზი აქვთ: მაშინ როცა ისინი მიკ-როსკოპებით შეიარაღებულნი ეძებენ ბაქტე-რიების გავრცელების უხილავ კერებს, მათ თვალწინ, ჩელიუსკინელების ხიდთან თხრი-ლებში სანაპირო ქუჩის მშენებლობის ადგილ-ზე ვეებერთელა ჭაობები გადამწვანდა, მაგრამ მას რატომღაც ვერ ხედავენ.

ამ ჭაობებიდან კი კოღო მოედო ახლომახლო უბნებს და შეიქმნა მალარიის გავრცელების სა-შიშროება.

საჭიროა სასწრაფო ღონისძიებანი ამ მდგომა-რეობის გამოსასწორებლად.

**ს. იოსებაშვილი.**

## „ბენვის" ხიდზე

ახმეტის რაიონის დუისისა და ჯოყოლოს სა-სოფლო საბჭოები 12 სოფელს აერთიანებენ. სა-მწუხაროდ, ამ სოფლების კეთილმოწყობას, მო-სახლეობის კულტურულ მომსახურებას ნაკლები ყურადღება ექცევა. ჯოყოლოს გარდა არცერთ სოფელში არ არის კლუბი, აბანო, საექიმო პუნ-ქტი, აფთიაქი და ფოსტა. გარდა ამისა, სოფ-ლებს არა აქვთ ელექტროშუქი.

ვისაც ჯოყოლოდან დუმასტურში გადასვლა მოინდომოს, უნდა გაიაროს ალაზანზე გადე-



ბული 15 სანტიმეტრის სიგანის საცალფეხო „ხიდი", რაც მგზავრებისათვის მეტად სახიფა-თოა.

ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაისაბ-ჭოს აღმასკომმა უნდა მიიღოს ზომები აღნიშნუ-ლი სოფლების მცხოვრებთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

**ბ. მესხი.**

## კომბინირებული საყრდენი - ლამპიონები

ქალაქის მაგისტრალებზე ტრამვაის ან ტრო-ლეიბუსის საკონტაქტო ქსელი ჩამოკიდებულია ლითონის საყრდენებზე ან შენობის ფასადზე მიმაგრებულ სპეციალურ დამკიდზე. გარდა ამისა, ქუჩის განათებისათვის ხშირად დგამენ ბის საყრდენებს, რაც ერთგვარად ტვირთავს და სილამაზესართმევს ქუჩას.

ცენტრალური მაგისტრალების საყრდენები-საგან განტვირთვის მიზნით უკანასკნელ წლებ-ში თბილისის სტალინის სახელობის ხიდზე და მელიქიშვილის ქუჩაზე დაიდგა მხატვრულად გა-ფორმებული ლითონის კომბინირებული საყრ-დენი-ლამპიონები, რომლებზეც ერთსა და იმა-ვე დროს თავსდება როგორც ტრამვაისა და ტროლეიბუსის ქსელი, ისე ქუჩის განათებაც.

ასეთივე საყრდენი-ლამპიონების დადგმას ამჟამად ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართვე-ლო აწარმოებს ჩელიუსკინელების ქუჩაზე — პლეხანოვის პროსპექტიდან სადგურის მოედ-ნამდე. ლამპიონის სრული სიმაღლე მიწის ზე-დაპირიდან შვიდნახევარ მეტრს აღწევს.

ლითონის კომბინირებულ საყრდენ-ლამპიო-ნებს ამზადებს ტრამვაი-ტროლეიბუსების სამ-მართველოს ვაგონშემკეთებელი სახელოსნო.

**ინჟინერი მ. ჩოჩგოლაშვილი.**

## აგიტმანქანა კომბაინერებთან

ამ დღეებში სოფლის მეურნეობისა და და-მზადებათა მუშების და მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის აგიტმანქანა იმყოფებოდა კახე-თის ველებზე, სადაც მომსახურება გაუწია მოსავლის აღებაზე მომუშავე მექანიზატო-რებსა და კოლმეურნეებს.

აგიტმანქანის ბრიგადის წევრებმა მინდვრად მომუშავეებს უჩვენეს მხატვრული და დოკუ-მენტალური კინოსურათები, წაუკითხეს ლექ-ცია „მარცვლეულის პრობლემა სსრ კავშირ-ში", მინდვრად გამოუშვეს საველე გაზეთები, მტს-ების მუშაკებს გადასცეს სხვადასხვა მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა.

ბრიგადამ მომსახურება გაუწია წითლის, გამარჯვების, ქედის, შირაქის, ულიანოვკის, ალაზნის, წნორის, ლაგოდეხის, ვარდისუბნის, გურჯაანის და სხვა მტს-ებს.

**ხ. კალანდაძე.**

## მცირექალიანი ელექტროსადგურის მშენებლობაზე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ნი-ვთიერების აღნაგობის კათედრამ ამას წინათ ექსპედიცია მიავლინა ბორჯომის რაიონის სო-ფელ ახალდაბის კოლმეურნეობაში მთის საძო-ვრების ფერმებთან 25-კილოვატიანი მიკრო-ელექტროსადგურის ასაგებად.

ექსპედიცია, რომელსაც გ. მესხი ხელმძღვა-ნელობს, შეუდგა ელექტროსადგურის მოწყო-ბას მთაში, სადაც კოლმეურნეობის საძოვრები და ფერმებია.

მიკროელექტროსადგური, რომელსაც ახალი ნიმუშის ციცხვიანი ტურბინი ექნება, კოლ-მეურნეობის ფერმებს მისცემს შუქს და უზ-რუნველყოფს ფერმებში შრომატევად სამუშაო-თა კომპლექსური მექანიზაციის განხორციელე-ბას. მაგრამ ამისათვის საჭიროა ექსპედიციის წევრებს სათანადო დახმარება გაუწიოს ახალ-დაბის კოლმეურნეობამ. სამწუხაროდ, კოლმეუ-რნეობის თავმჯდომარე ხ. ბარძიმაძე გულგრი-ლობას იჩენს.

**გ. ვარლამიშვილი.**

## გავაძლიეროთ სოფლისადმი საშეფო დახმარება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულმა გადაწყვე-ტილებებმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მე-ურნეობის წინაშე დააყენა მნიშვნე-ლოვანი ამოცანა — უახლოეს წლებ-ში შექმნან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე. ამ ისტორიუ-ლი ამოცანის განხორციელებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკები შემო-ქმედებითად შრომობენ. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალის-ტური ქალაქის საშეფო დახმარებას საკოლმეურნეო სოფლისადმი.

ამ მხრივ კარგად მუშაობს გარეუბ-ნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის შეფი — თბილისის ქიმიური კომბინატის კო-ლექტივი, რომელმაც კოლმეურნეობას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერ-მაში 800 მეტრის სიგრძეზე გაუყვანა წყალსადენი, შეუკეთა სახერხი ქარხნის ელექტროგაყვანილობა და ელექტრო-მოტორი. კომბინატმა პირუტყვის და ფრინველის საჭიროებისათვის კოლმე-ურნეობას მიაწოდა 8,4 ტონა ფურაჟი, ხოლო სათბურების ჩარჩოებისა და სხვა საჭიროებისათვის 1.300 კილო-გრამი ზეთის საღებავი.

კომბინატის კოლექტივს არჩეული ჰყავს საშეფო კომისია. კომისიის წევ-რები ხშირად აწყობენ კოლმეურნეებ-თან საუბრებს მიმდინარე საკითხებზე. კოლმეურნეობამ შეფის დახმარებით უფრო გააუმჯობესა პირუტყვის მოვ-ლა-პატრონობა. ამის გამო მნიშვნე-ლოვნად გაიზარდა წველადობა, უფრო გადიდდა ბოსტნეულის მოსავლიანობა.

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა კარგად ეხმარება გარეუბნის რაიონის სოფელ დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმე-ურნეობას. მინერალური სასუქების და სხვადასხვა ტვირთის გადასატანად ქარ-ხანამ კოლმეურნეობას რამდენჯერმე ათხოვა მანქანა. ქარხნის მუშაკებმა კოლმეურნეობაში მოაწყეს შაბათობა.

მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეო-ბას ქმედით დახმარებას უწევს თბი-ლისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც პერიოდულად აწყობს მოწინავე მუშების შეხვედრას კოლმეურნეებთან. ფაბრიკის თვით-მოქმედი წრის საშუალებით კოლმე-ურნეობაში ორჯერ გამართეს კონ-ცერტი, კოლმეურნეობას მისცეს მხატვრულად გაფორმებული რამდენი-მე ლოზუნგი და პლაკატი, გამოუყვეს მხატვრული და პოლიტიკური ლიტე-რატურიდან 80 ცალი წიგნი.

პირველადი პარტიული ორგანიზა-ცია და პროფკავშირის საფაბრიკო კო-მიტეტი სისტემატურად განიხილავენ საშეფო მუშაობის მიმდინარეობის სა-კითხებს. ასევე თავიანთი საწარმოო საქმიანობა შეუთავსეს საკოლმეურნეო სოფელზე ზრუნვას სტალინის სახე-ლობის თბილისის ორთქლმავალ-ვა-გონსარემონტო ქარხანამ, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველომ, ქუთაი-სის საავტომობილო ქარხანამ და მაუ-ლის ფაბრიკამ, სტალინის სახელო-ბის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ-მა ქარხანამ და სხვებმა.

საწარმოთა საშეფო მუშაობის საქ-მეში ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვა-ნებასაც. მაგალითად, დიდიხანია, რაც თბილისის კამოს სახელობის სამსხმე-ლო-მექანიკური ქარხნის კოლექტივი თელავის მტს-ის შეფად ითვლება. ქარხნის ხელმძღვანელებს ცოცხალი კავშირი არა აქვთ მტს-თან, საფუძვლი-ანად არ იცნობენ მის ეკონომიკას. ორი წლის მანძილზე ქარხნის არცერთი წარმომადგენელი არ ყოფილა მტს-ში. ქარხნის ხელმძღვანელებმა არც კი იციან, თელავის მტს-ი სად მდება-რეობს, თუმცა პარტიული ორგანიზა-ციის კრებამ 1955 წლის 28 თებერ-ვალს სხვა ღონისძიებებთან ერთად მიიღო დადგენილება გაგზავნილიყო ბრიგადა ხელმძღვანელი ამხანაგების მონაწილეობით მტს-ის გაცნობისათ-ვის, მაგრამ ეს დადგენილება ქაღალდ-ზე დარჩა.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომ-ბინატში, სამტრედიის აბრეშუმის ძაფ-სალებ, თბილისის საგალანტერიო ნა-წარმის ფაბრიკებშია. მათ მხოლოდ სურვილი გამოთქვეს შეფობისა, მაგ-რამ პრაქტიკულ ქმედით დახმარებას არ უწევენ საშეფო კოლმეურნეობებს.

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანე-ლები, რომლებმაც არასწორად გაიგეს საშეფო მუშაობის მნიშვნელობა, წარ-მოების ანგარიშზე კოლმეურნეობას უფასოდ აძლევენ მასალებს. მაგალი-თად, თბილისის ტყავის მეორე ქარხა-ნა შეფობას უწევს საგარეჯოს რაიო-ნის მარქსის სახელობის კოლმეურნე-ობას. წელს ქარხანამ კოლმეურნეობას უსასყიდლოდ მისცა 600 კილოგრამი მავთული ვენახისათვის და 350 მეტრი ელექტროსადენი, 10 ცალი ფანერი, ერთი ელექტრომოტორი.

ზოგიერთი სამინისტრო და საწარ-მოები არ იღებენ მონაწილეობას სა-შეფო მუშაობაში. მაგალითად, სა-ქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწ-ველობის სამინისტროს 80-ზე მე-ტი მსხვილი საწარმო აქვს, მაგრამ საშეფო მუშაობაში ჩაბმულია მხო-ლოდ 25, ხოლო საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო სა-ქონლის სამინისტროს 30-ზე მეტი მსხვილი საწარმოდან საშეფო მუშაო-ბაში ჩაბმულია 16.

სოციალისტური სოფლისადმი დახ-მარება მუდამ უნდა იყოს ქალაქის საწარმოების მუშაკების ზრუნვის სა-განი. ისინი მოწოდებული არიან მთე-ლი მონდომებით შეუწყონ ხელი კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეო-ბის მშრომელთა წინაშე დასახულ ამო-ცანათა წარმატებით განხორციელებას.

**შ. ზედელაშვილი.**

## მაყურებლები მოითხოვენ

კომუნარების ბაღში ლამა-ზად გაფორმებული საზაფხუ-ლო კინოთეატრი მრავალ მა-ყურებელს იზიდავს. ერთი შეხედვით აქ თითქოს ყველა-ფერია გაკეთებული მაყურე-ბელთა მომსახურებისათვის. მაგრამ სალაროსთან ხშირად მოისმენთ ასეთ საუბარს:

— ნუთუ წინა რიგის ბილე-თები არ არის?

— ინებეთ ბოლო რიგებში, წინა რიგები გაყიდულია.

თუ მაყურებელი პირველად მოხვდა ამ კინოთეატრში, სია-მოვნებით აიღებს ბილეთს ბო-ლო რიგებში, მაგრამ წარ-მოიდგინეთ შემდეგ მისი გან-



ცვიფრება — ეკრანის მაგივ-რად მხოლოდ მაყურებელთა თავების თვალიერება მოუხ-დება.

საქმე ის არის, რომ ბოლო რიგები წესის წინააღმდეგ უფრო დაბლაა დაწეული, ვიდრე წინა, რის გამო იქ მსხდომნი კინოსურათს კარ-გად ვერ უყურებენ. კინო-თეატრის ხელმძღვანელები თავს იმართლებენ და აცხა-დებენ, ასეთი უხერხულობა ჩვენი ბრალი არ არისო.

საჭიროა მაყურებელთა სა-მართლიან მოთხოვნას ყუ-რადღება მიექცეს.

**თ. გრიგოლაშვილი.**

## დროულად გამოვეხმაუროთ მშრომელთა სიგნალებს

გაზეთში გამო-ქვეყნებულ წერი-ლებს, სადაც შრო-მის მოწინავე მეთოდებზე, წარმოების ნოვატორთა გამოცდილებაზეა ლაპა-რაკი, აგრეთვე მხილებულია პარტიუ-ლი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანი-ზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, მრავალი მკითხველი ჰყავს. მკითხვე-ლი კრიტიკული წერილის გამოქვეყ-ნების შემდეგ მოუთმენლად მოელის შედეგს: გამოსწორდა თუ არა აღნიშ-ნული ნაკლოვანება, რა ზომები მიი-ღეს დამნაშავეთა მიმართ და სხვ. ამისათვის საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა პატივი სცენ საზოგა-დოებრივ აზრს, დროზე მიაწოდონ მკითხველს გამოხმაურება გაზეთის კრიტიკულ გამოსვლასთან დაკავშირე-ბით.

მთელი რიგი ორგანიზაციები დროუ-ლად ეხმაურებიან გაზეთში გამოქვეყ-ნებულ საქმიან, კრიტიკულ შენიშვ-ნებს. მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაცია უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საქმეს.

14 აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „სერიოზული ნაკლოვა-ნებანი საკოლმეურნეო წარმოების და-გეგმვაში". წერილი ეხებოდა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შე-ცვლის შესახებ პარტიისა და მთავრო-ბის დადგენილების საფუძველზე ახმე-ტის რაიონის კოლმეურნეობებში 1955-1960 წლების პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს დაშვებულ ნაკლოვა-ნებებს და ამ საქმისადმი საქართვე-ლოს სსრ სოფლის მეურნეობის სამი-ნისტროს ფორმალურ მიდგომას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურ-ნეობის სამინისტროს მუშაკთა ფორმა-ლური მიდგომა ამ საქმისადმი ამით არ ამოიწურა. მათ ასეთი ზოგადი პასუხი გამოუგზავნეს რედაქციას: „წერილში მოყვანილი ფაქტები კოლეგიამ სწო-რად ცნო და დასახა სათანადო ღონის-ძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა გა-მოსასწორებლად".

18 მარტის ნომერში დაბეჭდილ წე-რილში „არ შევურიგდეთ ნაკლოვანე-ბებს" აღნიშნული იყო, რომ გორის რაიონში ერთწლიანი და მრავალწლია-ნი ბალახების თესვის საქმე ცუდად არის დაყენებული. რაიონში არა აქვთ ერთწლიანი ბალახების თესლი. ზოგი-ერთ კოლმეურნეობას მრავალწლიანი ბალახების თესლიც აკლია. თესვას აგ-ვიანებენ ის კოლმეურნეობებიც, რომ-ლებსაც თესლი აქვთ. წერილში ლაპა-რაკი იყო აგრეთვე მტს-სა და კოლმე-ურნეობაში საწარმოო გეგმების შედ-გენის გაჭიანურების ფაქტებზე.

მოსალოდნელი იყო, რომ წერილს სათანადოდ გამოეხმაურებოდნენ სა-ქართველოს კომპარტიის გორის რაი-კომში. მაგრამ ისინი ზოგადი პასუხით დაკმაყოფილდნენ, არ უჩვენეს კონკ-რეტულად რა ღონისძიებანი დასა-ხეს მდგომარეობის გამოსასწორებლად, როგორ გამოასწორეს ჩამორჩენა.

ბევრ საყურადღებო, მტკივნეულ სა-კითხს აყენებენ მკითხველები რედაქ-ციისადმი გამოგზავნილ წერილებ-ში. მკითხველთა წერილების ნაწილი იბეჭდება გაზეთის ფურცლებზე, ნაწი-ლი კი ზომების მისაღებად პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს ეგზავნება. ორგანიზაციების დიდი უმ-რავლესობა გულისხმიერად და დრო-ულად ეხმაურება გადაგზავნილ საჩივ-რებს, სიგნალებს. მაგალითად, ყაზბე-გის რაიონიდან რედაქციას მკითხველი ზ. ღუდუშაური სწერდა: „ყაზბეგის რაიონის სოფელ გორისციხის ბიბ-ლიოთეკის გამგე ლ. ავსაჯანიშვილი თვითნებობს, სამსახურში როცა მოე-ხასიათება მაშინ მოდის. ბიბლიოთეკა-ში უსუფთაობაა, დამტვრეული ავეჯი დგას".

წერილი ზომების მისაღებად ყაზბე-გის მშრომელთა დეპუტატების რაი-საბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა. რო-გორც რაიაღმასკომი ატყობინებს რე-დაქციას: „წერილში მოყვანილი ფაქ-ტები დადასტურდა. რაიაღმასკომმა ლ. ავსაჯანიშვილს გამოუცხადა სას-ტიკი საყვედური. მუშაობის გასაუმ-ჯობესებლად დასახა ღონისძიებანი".

პარტიული და საბჭოთა ორგანიზა-ციების ამოცანაა დაეხმარონ გაზეთებს საჩივრების, სიგნალების დროულად შემოწმებაში. არ დატოვონ უყურად-ღებოდ არცერთი წერილი, არცერთი სიგნალი, დროზე აცნობონ ავტორებს, თუ რა ზომებია მიღებული.

მოქ. ს. გურესაშვილის წერილი, რომელიც ამხილებდა აჭარის ასსრ-ში სამედიცინო მომსახურების დაყენებას, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს გადაეგზავნა. მაგრამ საოლქო კომი-ტეტმა 1954 წლის აპრილიდან დღემ-დე, მიუხედავად რედაქციის არაერთ-გზის შეხსენებისა, პასუხი არ გამოგ-ზავნა.

ასევე მოექცნენ მოქ. ვ. გაბუნიას წერილს გეგეჭკორის მშრომელთა დე-პუტატების რაისაბჭოს აღმასკომში. 1954 წლის მაისში გადაგზავნილ წე-რილზე რედაქციას დღემდე არ მიუ-ღია პასუხი.

1955 წ. თებერვალში რედაქციაში მოქ. ბ. გადელიამ გამოგზავნა წერი-ლი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ აბა-შის რაიონის სოფელ ონტოფოში კლუბის მშენებლობა ჭიანურდება, კი-ნოსურათებს არ უჩვენებენ. წერილი ზომების მისაღებად აბაშის რაიაღმას-კომს გადაეგზავნა. ავტორმა ივნისში განმეორებით მიმართა რედაქციას და აცნობა, რომ მდგომარეობა კვლავ უცვლელია. რედაქციამ შეხსენებაც გაუგზავნა რაიაღმასკომს, მაგრამ იგი დუმილს ამჯობინებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასა-მართლო უყურადღებოდ ტოვებს რე-დაქციის მიერ 1954 წელს გაგზავნილ მთელ რიგ წერილებს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ გაეგზავნა შე-ხსენება.

არის შემთხვევები, როცა რედაქცია-ში, ადგილობრივ პარტიულ და საბჭო-თა ორგანოებში შედის უსახელო წე-რილები. ანონიმურ წერილებს მათი ავტორები პროვოკაციული მიზნით იყენებენ, წერენ დაუსაბუთებელ ბრალდებებს, ცილს სწამებენ პატიოსან მუშაკებს.

ორჯონიკიძის რაიონის ხევის სა-სოფლო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ს. გრიგალაშვილის შესახებ რედაქცია-ში შემოვიდა სიგნალი, რომლითაც მას ბრალს სდებდნენ სახელმწიფო თანხე-ბის მითვისებაში. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა რაისაბჭოს აღ-მასკომს. ს. გრიგალაშვილის მიმართ ბრალდებები არ დადასტურდა. საკით-ხი განიხილა საქართველოს კომპარ-ტიის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუ-რომ. წერილის ავტორის — ცილისმწა-მებელ დ. ი. გრიგალაშვილის საქმე გადაეცა ორჯონიკიძის რაიპროკუ-რორს მის პასუხისგებაში მისაცემად.

სამწუხაროდ, ანონიმური წერილე-ბის ავტორთა შორის პარტიული ბი-ლეთის მქონე ადამიანებიც არიან. უსახელო წერილში ავტორი რედაქ-ციას წერდა კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის კოლმეურნეობის თავმჯ-დომარის მ. რ. ბეგლარაშვილის საქ-მიანობაზე. წერილი საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომმა შეამოწ-მა. წერილის ავტორი აღმოჩნდა ამავე სოფელში მცხოვრები, პარტიის წევრი მ. ა. ქსოვრელი. იგი უამრავ განცხა-დებას წერდა ზემდგომი ორგანოებისა და რაიკომის სახელზე. რაიკომის ბიუ-რომ მ. ქსოვრელი უსახელო წერილე-ბის დაწერისათვის და ბეგლარაშვილი-სადმი ცილისმწამებლური ბრალდების წაყენებისათვის გარიცხა პარტიის რი-გებიდან და მისცა პასუხისგებაში.

ნაკლოვანებათა მხილებას ყოველ-თვის და ყველგან უნდა შევუწყოთ ხე-ლი. სასტიკად უნდა დაისაჯონ კრიტი-კის ჩამხშობნი, საქმის გამჭიანურებ-ლები. საერთო საქმის წარმატებას ხე-ლი რომ შევუწყოთ, ამისათვის საჭი-როა ადგილობრივი ორგანიზაციები დროულად გამოეხმაურონ გაზეთის ყოველ სიგნალს, ყოველ შენიშვნას, დროულად გასცენ პასუხი მშრომელთა წერილებზე.

## აბრები, წარწერები და აფიშები...

სულ უფრო თვალწარმტაცი და მიმზიდველი ხდება თბილისი. იგი თავისი სილამაზითა და კე-თილმოწყობით სიამაყის გრძნობას იწვევს ყოველ მშრომელში. ამიტომ შეუწყნარებელია, როდესაც ქალაქის ქუჩებში ვხვდებით უწიგნურად, უვი-ცად შესრულებულ წარწერებს.

პუშკინის ქუჩაზე საპარიკმახეროში ასეთი წარწერაა: „ზალაში შესვლა შვეიცარის დაუკით-ხავად აკრძალულია".

მელიქიშვილის ქუჩაზე ბავშვთა საავადმყოფოს ასეთი აბრა აქვს: „კლინიკურ ბავშვთა საავად-მყოფო".

რუსთაველის პროსპექტზე № 4 მოთავსებუ-ლია ხორცის პროდუქტების დიდი სპეციალიზე-ბული მაღაზია. აქ ღვეზელს ჰყიდდნენ. შემდეგ ღვეზელის ვაჭრობა გადაუტანიათ, რის შესახებ მომხმარებლებს აუწყებს მაღაზიაზე გაკრული განცხადება: „Пирожки рядом". მომხმარებე-ლი ტყუილად დაუწყებს ძებნას მას მაღაზიის გვერდით. ღვეზელის ვაჭრობა მაღაზიის პირდა-პირ მოუწყვიათ. წარწერის ავტორს ერთიმეორე-ში აურევია სიტყვები: „рядом" და „напротив".

რუსთაველის პროსპექტზე დიდი და კარგი სა-სადილოა. აქ გამოკრული განცხადება მომხმარებ-ლებს ამცნობს, რომ „სწარმოებს სადილების გაშვება სახლში".

უწიგნური განცხადებებითა და უვიცი წარ-წერებით რეკორდი დაუმყარებია თბილისის ავ-ტოვაგზალს. ვაგზლის ადმინისტრაციას წარწერე-ბის გაფორმება უცოდინარი პირისათვის მიუნდ-ვია. ისეთი მყარი წარწერები, როგორიც არის განრიგი და ბილეთების ღირებულების ნუსხა, დაწერილია ცუდი, არა კალიგრაფიული ხელით. ქართული წარწერები რუსულიდან მექანიკუ-რად არის გადმოწერილი. ზოგიერთი წარწერა ორივე ენაზე დამახინჯებულია. მაგალითად, Цнори — ცნორი, Грозна — გროზნა, Сигнах — სიგნახი, Цители сопели — წითელი სოპელი Эреван—ერევან და სხვ. აქვე შეხვდებით „ესენ-დუკი", „კისლავოცკი", „პიტიგორსკი", „მართ-ყოფი", „გამბორი" და სხვ.

დარბაზში გაკრულია განცხადება: „ავტობუს-ზე დაგვიანებული მგზავრები კარგავენ უფლე-ბას გასულ ავტობუსზე აღებული ბილეთით სხვა ავტობუსით მგზავრობისა". როგორც იტყვიან— კომენტარები ზედმეტია!

საჭიროა ვაგზლის ადმინისტრაციას ახსოვდეს, რომ უწიგნური და უკულტურო წარწერები ენის შემბღალავია.

ვარციხის ქუჩის რუსული წარწერა „გამდიდ-რებულა" ზედმეტი ასოთი: „Вардцихе".

ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლებო-და იმის დასადასტურებლად, თუ როგორ არა-გულისხმიერად ეკიდებიან წარწერებისა და გან-ცხადებების გაფორმებას.

ყველა აფიშამ, აბრამ და ქუჩაში გასაკრავმა განცხადებამ სარეკლამო ბიუროში უნდა გაია-როს, მაგრამ ბიურო, როგორც ჩანს, საჭირო ყუ-რადღებას არ აქცევს ამ საქმეს.

ჩვენს ქალაქს გამართული ენით დაწერილი და მხატვრულად კარგად გაფორმებული წარ-წერები უნდა ჰქონდეს.

**ა. მაღლაკელიძე.**
თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

## წარმომადგენელს მოელიან...

სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაი-საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველო-ბის განყოფილებამ „ზაგოტქვისირიოს" თეთრი წყაროს რაიონის მანგლისის პუნქტიდან მიმ-დინარე წლის იანვარში № 169 ფაქტურით 3.039 კილოგრამი მატყლი მიიღო ნაბდების დასამზადებლად. მატყლი პირველი ხარისხისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეკვრების გახსნისას მატყლში ალაგ-ალაგ აღმოჩნდა „მოფიქრებუ-ლად" ჩაყრილი მიწა. სახელმწიფო ორგანიზა-ციების წარმომადგენლების თანდასწრებით შე-ადგინეს აქტი და ადგილზე შესამოწმებლად დეპეშით გამოითხოვეს საქართველოს „ზაგოტ-ქვისირიოს" კანტორის წარმომადგენელი.

გადის დღეები, კვირეები, სიღნაღში ყოველ-დღე მოელიან წარმომადგენელს, რომელსაც მიწის შენახული ნიმუშები უნდა აჩვენონ და გახსნან დანარჩენი შეკვრებიც, მაგრამ ამაოდ...

საინტერესოა, „ზაგოტქვისირიოს" საქართვე-ლოს კანტორაში ფიქრობენ თუ არა სიღნაღიდან მიღებულ დეპეშაზე პასუხის გაცემას. ანდა მატყლის დამზადების მანგლისის პუნქტის გამ-გემ, რომლის ვიზითაც № 169 ფაქტურაზე ერთი ასოთი არის აღნიშნული, მატყლის ნაცვლად მი-წის გამოგზავნისათვის პასუხი უნდა აგოს თუ არა?

**მ. ტუსაშვილი,**
სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## „მაიაკოვსკელ მევენახეებთან"

„კომუნისტში" ამ სათაურით გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში გაკრიტიკებული იყო მაია-კოვსკის რაიონის სოფელ როკითის კიროვის სა-ხელობის კოლმეურნეობის გამგეობის მუ-შაობა.

პარტიის მაიაკოვსკის რაიკომი რედაქციას ატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანი-ლი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ როკითის კოლმეურნეობაში ვენახების დამუშავებისა და დაცვის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეო-ბის გამოსასწორებლად. რაიკომის ბიურომ კოლ-მეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ბ. ბურჯანაძეს გამოუცხადა საყვედური.

# იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია მოსკოვში

მესამე დღეა მოსკოვში იმყოფება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კრების თავმჯდომარე ვლადიმერ ბაკარიჩი.

4 აგვისტოს დღის პირველი ნახევარი დელეგაციამ გაატარა ი. ბ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. აქ სტუმრებს შეხვდნენ საწარმოს დირექტორი ა. გ. კრილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროლეტარული რაიონის რაიკომის მდივანი ა. მ. პეგოვი, ქარხნის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მეგობრულ საუბარში ა. გ. კრილოვმა დელეგაციის წევრებს უამბო, როგორ შეიქმნა და განვითარდა საბჭოთა ავტომობილმშენებლობის პირმშო. საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დეპუტატები განსაკუთრებით დაინტერესდნენ წარმოების დაგეგმვით, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობით, შრომის დაცვის საქმით.

საინსტრუმენტო საამქროში, რომელიც შემდეგ დაათვალიერეს იუგოსლავმა სტუმრებმა, მუშები მხურვალედ მიესალმნენ დელეგაციას. მეჩარხეთა ბრიგადირმა ვ. ა. მარკოვმა საამქროს კოლექტივის სახელით გულთბილი სიტყვებით მიმართა იუგოსლავიის ხალხის წარმომადგენლებს. მან სთხოვა სალამი გადასცენ იუგოსლავიის ხალხებს და თქვა:

— დაე განმტკიცდეს ორი სლავი ხალხის მეგობრობა!

იმპროვიზებულ ტრიბუნაზე — ჩარხის დგანზე ადის ვლადიმერ ბაკარიჩი. გულთბილი მიღებით აღელვებულმა, მან მისალმების პასუხად განაცხადა:

— სასიამოვნოა ვიცოდეთ, რომ საბჭოთა ხალხი ასეთი გულთბილი გრძნობებით არის გამსჭვალული იუგოსლავიის ხალხებისადმი, რომლებიც ასეთივე სიმპათიით უყურებენ საბჭოთა ადამიანებს. ჩვენ დავრწმუნდით ამაში. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საბჭოთა ხალხის წარმატებებს და ვუსურვებთ მას ახალ მიღწევებს მომავალში. გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას! — დაამთავრა ტაშის გრიალში თავისი სიტყვა იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურმა.

საამქროში სტუმრები ათვალიერებდნენ ჩარხებს, მაგრამ ართმევდნენ ხელს მუშებს, ესაუბრებოდნენ მათ. ისინი იყვნენ ცენტრალურ საზომ ლაბორატორიაში, რუხი თუჯის სამსხმელო საამქროში, სადაც განსაკუთრებით დაინტერესდნენ დგუშის რგოლების დამზადების პროცესით, დანადგარებით, რომლებიც აციებენ ჰაერს და ქმნიან ხელსაყრელ პირობებს შრომისათვის, აგრეთვე მექანიზაციის მაღალი დონით. შემდეგ სტუმრები შევიდნენ სამსხმელო საამქროს სასადილოში და დაათვალიერეს იგი. ბოლოს იუგოსლავიის პარლამენტის წევრებმა ინახულეს ველოსიპედის ასაწყობი საამქრო და მთავარი კონვეიერი.

იუგოსლავი სტუმრები იყვნენ აგრეთვე საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში. პიონერებმა მათ მიართვეს ყვავილების თაიგულები, სთხოვეს სალამი გადასცენ იუგოსლავიის ბავშვებს და მოიწვიეს იუგოსლავი ბავშვები საბჭოთა ქვეყანაში.

მოსკოვში მყოფმა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაციამ, რომელსაც ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის კრების თავმჯდომარე ვლადიმერ ბაკარიჩი მეთაურობს, 4 აგვისტოს საღამოს დაათვალიერა მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენი. ქალაქის მიწისქვეშა გზის უფროსმა ა. ი. ეგოროვმა გააცნო სტუმრებს მეტროპოლიტენის ტრასი, უამბო მათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახეობის ტრანსპორტს მგზავრთა გადაყვანისათვის.

სტუმრებმა მეტროს დათვალიერება დაიწყეს „დინამოს" სადგურით. შემდეგ ისინი იყვნენ „ბელორუსიის", „ბელორუსიის ირგვლივი", „ნოვოსლობოდსკის", „კომკავშირის ირგვლივი" და „კურსკის ირგვლივი" სადგურების მიწისქვეშა დარბაზებში. დელეგაციის წევრებში დიდი ინტერესი და საერთო მოწონება გამოიწვია ესკალატორებმა და მეტროს სუფთა ჰაერმა. სადგურებში, სადაც იყვნენ საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დეპუტატები, მათ გულთბილად მიესალმებოდნენ მგზავრები.

დელეგაციას თან ახლდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი თანამშრომელი ი. ა. კოროლიოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე ქ. ა. კორჩუკოვი.

ვლადიმერ ბაკარიჩმა მხურვალე მადლობა გადაუხადა მეტროპოლიტენის უფროსს მიწისქვეშა სასახლეების დათვალიერების შესაძლებლობის მიცემისათვის და აღტაცება გამოთქვა ნახულის გამო. (საკდესი).

# ალჟირის დელეგაცია სსრ კავშირში

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით სსრ კავშირში დაახლოებით ორი კვირაა იმყოფება საბჭოთა კავშირის მეგობართა ალჟირის ასოციაციის დელეგაცია.

მოსკოვში სტუმრები იყვნენ ლენინისა და სტალინის მავზოლეუმში, დაათვალიერეს მოსკოვის კრემლი, მეტროპოლიტენი, მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობა და დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, მუზეუმებში, თეატრებში, საკონცერტო დარბაზებში. დელეგაციის ცალკეული წევრები მიიღეს რუსეთის სფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიაში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში, ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების იურიდიული და პედაგოგიური სექციების წევრებს, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლებს. დელეგაციის წევრმა მაჰომედ აბდელიმ საბჭოთა მწერლებს, კრიტიკოსებსა და ლიტერატურათმცოდნეებს გაუკეთა მოხსენება თანამედროვე ალჟირული ლიტერატურის შესახებ.

გარდა მოსკოვისა, ალჟირელი სტუმრები იყვნენ ლენინგრადში.

4 აგვისტოს საბჭოთა კავშირის მეგობართა ალჟირის ასოციაციის დელეგაცია აზერბაიჯანს გაემგზავრა.

(საკდესი).

# ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია სსრ კავშირში

ᲓᲐᲑᲐ ᲕᲔᲜᲪᲘ ᲖᲐᲠᲘᲐ (კრასნოდარის მხარე), 4 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია გაიყო ორ ჯგუფად და, როსტოვის ოლქში მიმავალი, გზაში ეცნობოდა ყუბანის სოფლის მეურნეობას.

საჯიშე მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა „ვენცი ზარიაში" სტუმრებმა დაათვალიერეს მაღალჯიშიანი ღორების ფერმები. სტუმრებს აინტერესებდათ იმ ჯიშის ღორების გამოყვანის მეთოდები, რომელთა წონა 500 კილოგრამს აღემატება.

დელეგაციის წევრები განსაკუთრებით დააინტერესა ყუბანის მანქანათგამოსაცდელმა სადგურმა, სადაც იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქარხნიდან გამოსაცდელად ჩამოტანილი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები — მარცვლეულის სათესები, ფრთიანი კულტივატორები, სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები, სხვადასხვა მარკის მოსავლის ასაღები მანქანები. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო სიზრანის ქარხნის სიმინდის სასილოსე კომბაინმა, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მარცვლეულის კომბაინებმა „სტალინეც-8" და ტაგანროგის ქარხნის ფართოპირიანმა თვითმავალმა კომბაინმა. ეს მანქანა უკვე გამოსცადეს საწარმოო პირობებში და მაღალი შეფასება მიიღო. იგი განკუთვნილია უმთავრესად უხვმოსავლიან ნაკვეთებზე სამუშაოდ.

სადგურის დირექტორმა ა. ოსკინმა და საბჭოთა მეურნეობა „ვენცი ზარიას" დირექტორმა ა. ტანცურამ უპასუხეს სტუმრების მრავალ კითხვაზე. ამ მეურნეობების დათვალიერებისას წარმოებდა აზრთა გაცხოველებული ურთიერთ გაზიარება. მძლავრი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დათვალიერებისას ამერიკელი ფერმერები გამოთქვამდნენ აზრს, რომ ასეთი მანქანები მათთვის გამოუსადეგარია და ამჯობინებენ ისარგებლონ პატარა მოსავლის ასაღები მანქანებით, რომლებიც შეეფერება მათი მიწის ნაკვეთების მასშტაბებს.

საბჭოთა მეურნეობა „ვენცი ზარიაში" სტუმრებმა დაათვალიერეს საბჭოთა მეურნეობის კლუბი და დაესწრნენ მხატვრული თვითმოქმედების კონცერტს.

ქალაქ ლაბინსკში დელეგაციამ დაათვალიერა ელევატორი. ახლა ამერიკელი სტუმრები, რომლებმაც გაიარეს ქალაქი არმავირი, დონის როსტოვს მიდიან.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ „ᲧᲣᲑᲐᲜᲘ", 4 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.) სსრ კავშირში სტუმრად მყოფი ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის მეორე ჯგუფმა უილიამ ლამბერტის მეთაურობით კურგანაიას რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და ყუბანის სახელმწიფო მანქანათგამოსაცდელი სადგურის დეტალურად დათვალიერების შემდეგ ინახულა ლენინის ორდენოსანი მეთესლეობის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „ყუბანი". მეურნეობის მუშაკები დირექტორ ნ. ტროფიმენკოს მეთაურობით გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს და უჩვენეს მათ ყველაფერი, რაც აინტერესებდათ. რამდენიმე საათის განმავლობაში დელეგაციის წევრები ინტერესით ათვალიერებდნენ მეცხოველეობის მექანიზებულ ფერმებს, მაღალპროდუქტიულ ჯიშიან პირუტყვს, ჯიშიან ღორებს, რომლებიც 300-350 კილოგრამს იწონიან. სტუმრებმა უბის წიგნაკებში ჩაიწერეს ყველა მონაცემი, თვით სულ მცირე დეტალებიც კი — რაციონის, მოვლის, სნეულებებთან ბრძოლის შესახებ. მეურნეობის დირექტორთან და მუშაკებთან საუბარში სტუმრებმა მიიღეს მარცვლეული კულტურების წარმოებისა და იმის სრული სურათი, თუ რა როლს ასრულებს საბჭოთა მეურნეობა ყუბანში მარცვლეული კულტურების საუკეთესო ჯიშთა გავრცელებაში.

მუშებისა და მოსამსახურეების მიწვევით ამერიკის დელეგაციის წევრთა მეორე ჯგუფმა ღამე გაათია საბჭოთა მეურნეობაში. ახალგაზრდობამ სტუმრების პატივსაცემად გამართა კონცერტი, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა მეურნეობიდან წასვლის წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა უილიამ ლამბერტმა საპატიო მნახველთა წიგნში ჩაწერა, რომ ამერიკის დელეგაციაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსხვილფეხა რქიანმა ჯიშიანმა პირუტყვმა, ღორებმა, რომლებიც აქ ყავთ, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციამ და მისმა მაღალმა პროდუქტიულობამ. მან დელეგაციის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეურნეობის მუშებსა და ხელმძღვანელებს მხურვალე მიღებისათვის, რომელიც ამერიკის წარმომადგენლებს გაუმართეს აქ.

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ, 4 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ჩამოვიდა დონის როსტოვში. კრასნოდარის მხარისა და როსტოვის ოლქის საზღვარზე დელეგაციას შეხვდნენ ქალაქისა და ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. ბავშვებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგულები. დონის კაზაკები ჩვეულებისამებრ სტუმრებს შეხვდნენ პურმარილით. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. გ. კუზნეცოვი მხურვალედ მიესალმა დელეგაციის წევრებს და სთხოვა მათ გაეცნონ როსტოვის ოლქისა და ქალაქ დონის როსტოვის სოფლის მეურნეობას, მრეწველობასა და კულტურულ ცხოვრებას.

დღეს სტუმრებმა ინახულეს როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა.

# პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 5 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავისი პრეს-კონფერენცია დაიწყო. მოკლედ შეეხო რა მუშაობას, რომელიც შესრულა 84-ე მოწვევის კონგრესის სესიამ, ეიზენჰაუერმა აღნიშნა, რომ საგარეო პოლიტიკის დარგში კონგრესმა ცხადყო საგარეო პოლიტიკის პრობლემებისადმი ორპარტიული მიდგომის სრული მხარდაჭერა.

როდესაც მას სთხოვეს გამოეთქვა აზრი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე ნ. ა. ბულგანინის გამოსვლის გამო, რომელიც შეეხება ეიზენჰაუერის წინადადებას სამხედრო გეგმების გაცვლის თაობაზე, ეიზენჰაუერმა თქვა: რამდენადაც ვიცი, პრემიერ-მინისტრმა ბულგანინმა თქვა მხოლოდ ის, რომ, მისი აზრით, საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადებები განიარაღების შესახებ უფრო რეალისტურია.

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თქვა: „მე ვფიქრობ, რომ, თუ მისი ზუსტი გამოთქმების მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი აზრით, 10 მაისის წინადადება და დებულებები ინსპექციის შესახებ, რომლებსაც იგი შეიცავს, იყო უფრო რეალისტური, ვიდრე წინადადებანი, რომლებიც მე შევიტანე. ჟენევაში, არაოფიციალურ ლაპარაკში, მე აღვნიშნე, რომ თუ ისინი ენდობიან ინსპექციის ამგვარ სისტემას, ჩვენთვის ეს მისაღებია; ჩვენ დავთანხმდებით ერთზეც და მეორეზეც. და აი მე შევიტანე წინადადება: მივიღოთ ერთიც და მეორეც".

პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ნ. ა. ბულგანინის განცხადება მას არ მიაჩნია იმის დამადასტურებლად, რომ ბულგანინმა მოგვიხურა კარი და არ დატოვა ამ დარგში მოლაპარაკების შესაძლებლობა. მან დასძინა, რომ ჟენევის თათბირზე მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა ამ პრობლემის განხილვას.

უპასუხა რა კითხვაზე, რომელიც შეეხება პრემიერ-მინისტრ ბულგანინის გამოსვლას, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ოთხი სახელმწიფოს ჟენევის თათბირის მონაწილეებმა აღძრეს ცოტად თუ ბევრად ფართო ჯგუფი საკითხებისა, რომლებიც ოქტომბერში უნდა განიხილონ ოთხმა საგარეო საქმეთა მინისტრმა. მან კვლავ გაიმეორა, რომ პრემიერ-მინისტრ ბულგანინის განცხადება არ გამორიცხავს განიარაღების დარგში კონტროლის საკითხის შემდგომი განხილვის შესაძლებლობას.

თხოვნაზე დაადასტუროს ცნობა იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ წარადგინონ განსახილველად სრულიად ახალი პროგრამა განიარაღების დარგში, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ მთავრობა განუწყვეტლივ მუშაობს ამ პრობლემაზე და რომ ამ დარგში განუწყვეტლივ ისახება რაღაც ახალი იდეები. მან დასძინა, რომ წინადადება, რომელიც მან ჟენევაში წარადგინა, იყო მხოლოდ დასაწყისი და შესაძლოა მოველოდეთ, რომ წარდგენილ იქნება რაღაც ახალი წინადადებები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ უნდა იქნას მიჩნეული საბოლოო წინადადებად.

თხოვნაზე შეაფასოს ჩინეთ-ამერიკის ჟენევის ახლანდელი მოლაპარაკების ხასიათი, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ეს მოლაპარაკება შეეხება მოქალაქეთა განთავისუფლების საკითხს და შეერთებული შტატები არ აპირებენ განიხილონ საკითხები, რომლებიც ეხება მათ მეგობრებს, ამ მეგობრების დაუსწრებლად.

კითხვაზე შესაძლებელია თუ არა ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე, ეიზენჰაუერმა თქვა, რომ ახლა ძალიან ადრეა ლაპარაკი უმაღლესი დონის თათბირზე და ჩინეთ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკების შედეგებზე. ეიზენჰაუერმა აღნიშნა, რომ, როგორც სახელმწიფო მდივანმა დალესმა განაცხადა, ჩინეთ-ამერიკის ახლანდელ მოლაპარაკებას შეიძლება მოჰყვეს მინისტრების თათბირი, მაგრამ არა თათბირი უმაღლეს დონეზე.

# მუშაობა დაიწყო სსრ კავშირისა და ირანის შერეულმა კომისიამ სსრ კავშირსა და ირანს შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დარგში

1955 წლის 1 აგვისტოს ირანის ასტარაში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ირანს შორის საზღვრისა და ფინანსური საკითხების მოწესრიგების შესახებ 1954 წლის 2 დეკემბრის შეთანხმების მესამე მუხლის შესაბამისად, მუშაობა დაიწყო სსრ კავშირისა და ირანის შერეულმა კომისიამ სსრ კავშირსა და ირანს შორის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დარგში.

საბჭოთა დელეგაციაში შედიან სსრ კავშირის დესპანი პ. დ. ორლოვი — დელეგაციის თავმჯდომარე და დელეგაციის წევრები: პოლკოვნიკი ე. ა. ვოლკოვი, პოლკოვნიკი ა. ს. გრიგორიევი, პოლკოვნიკი ე. გ. ჟიდკოვი და მრჩეველი პ. ტ. ზუდინი, ექსპერტი რ. რ. ჰასანოვი და მდივანი ვ. ა. კონდრაკოვი.

ირანის დელეგაციაში შედიან: კორპუსის გენერალი ჯაჰანბანი — დელეგაციის თავმჯდომარე, ბრიგადის გენერალი ჰოსეინ ალი რაზმარი — თავმჯდომარის მოადგილე, დელეგაციის წევრები — პოლკოვნიკი ტეიფური, პოლკოვნიკი ფირუზბახში, პოდპოლკოვნიკი ბაგერი, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკები — დარიაბეგი, მოთაზედი და ინჟინერი გასემი.

კომისიამ თავის პირველ სხდომაზე, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილა საოქმო და საპროცედურო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირსა და ირანს შორის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის შემდგომ მუშაობასთან.

გადაწყდა შემდეგი სხდომა მოიწვიონ 1955 წლის 3 აგვისტოს საბჭოთა ასტარაში.

დათქვეს, რომ როგორც წესი, შემდგომი შეხვედრების შესახებ კომუნიკეებს არ შეადგენენ.

# მოსკოვს ჩამოვიდნენ საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს" მეზღვაურები

5 აგვისტოს მოსკოვს ჩამოვიდა საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს" ეკიპაჟის 29 მეზღვაური. ეს ტანკერი წელიწადზე მეტი ხნის წინათ უკანონოდ დააკავა სამხედრო გემმა კუნძულ ტაივანის სამხრეთით ღია წყლებში, რომლებსაც კონტროლს უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები.

ჩამოსულთა შორის არიან ტანკერ „ტუაფსეს" კაპიტანი ვ. ა. კალინინი, მისი თანაშემწეები დ. პ. კუზნეცოვი, ბ. ა. მერკულოვი, პ. ქ. გორობეცი, უფროსი მექანიკოსი ა. ს. ბესპალოვი, ბოცმანი ი. ი. იაკოვენკო, მატროსები ი. ი. პავლენკო, ნ. დ. ფედოროვი, ვ. გ. ნებესნი და სხვები.

ვნუკოვოს აეროდრომზე მეზღვაურებს შეხვდნენ: საზღვაო ფლოტის მინისტრი ვ. გ. ბაკაევი, მისი მოადგილეები, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დედაქალაქის პიონერები, აგრეთვე ტანკერ „ტუაფსეს" ეკიპაჟის ჩამოსულ წევრთა ნათესავები, მახლობლები და ნაცნობები.

დამსწრენი ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ თვითმფრინავიდან გამოსულ მეზღვაურებს. მეზღვაურებს მრავალი ყვავილი მიართვეს.

გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს: საზღვაო ფლოტის სამინისტროს პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა ვ. ი. რუმიანცევმა, საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილემ ნ. ნ. დოლინსკიმ, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ი. კოტკინმა. ისინი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სამშობლოს ერთგულ შვილებს, რომლებიც განთავისუფლებული არიან ჩანკაიშელთა საპატიმროებიდან.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ტანკერ „ტუაფსეს" კაპიტანმა ვ. ა. კალინინმა. მან განაცხადა:

— ჩვენ ბევრი სიძნელე გადავიტანეთ ჩანკაი-შის საკონცენტრაციო ბანაკებში, მაგრამ მედგრად ავიტანეთ ისინი. და ეს იმიტომ, რომ არ არის და არასოდეს არ იქნება ისეთი ძალა, რომელიც რამდენადმე მაინც შეარყევდა საბჭოთა მეზღვაურის სიყვარულს თავისი საყვარელი დედა-სამშობლოსადმი. (საკდესი).

# პოლონელ არქიტექტორთა დელეგაცია საქართველოში

6 აგვისტოს თბილისიდან ერევანს გაემგზავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის არქიტექტორთა დელეგაცია, რომელიც ორ დღეს იყო სტუმრად საქართველოში.

პოლონელმა არქიტექტორებმა დაათვალიერეს ქალაქის მშენებლობანი, ახალი ნაგებობანი, თბილისის ღირსშესანიშნაობანი. ქალაქ მცხეთაში ისინი გაეცნენ ძველი საქართველოს არქიტექტურულ ძეგლებს. სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ გორში, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი და ახალშენებანი.

საქართველოს არქიტექტორებმა დელეგაციის პატივსაცემად გამართეს დარბაზობა, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საქინფო).

# ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გასტროლები



ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (სამხატვრო ხელმძღვანელი კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ცაგარეიშვილი) წლევანდელი გასტროლები საკმაოდ ხანგრძლივი, საინტერესო და ფრიად პასუხსაგები იყო.

საგრძნობლად განახლებული პროგრამით გასტროლები დაიწყო 16 მარტს ქალაქ ლენინაკანში და დასრულდა ივლისის პირველ რიცხვებში ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. ამრიგად, მოგზაურობამ თითქმის ოთხ თვეს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ანსამბლმა 100-ზე მეტი კონცერტი გამართა 40-მდე ქალაქში, მომსახურება გაუწია ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებს, ჩრდილოეთ კავკასიის დიდ საწარმოო ცენტრებს, ვოლგისპირეთის ქალაქებს, მათ შორის გმირ ქალაქ სტალინგრადს, ეწვია ურალის საწარმოო გიგანტებს — ზლატოუსტის ფოლადსამსხმელო ქარხანას, ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანას, მოიარა ციმბირის შორეული ქალაქები კურგანი, პეტროპავლოვსკი, ომსკი, ტომსკი, ნოვოსიბირსკი, კრასნოიარსკი, ირკუტსკი, ჩიტა, გადაიარა ვრცელი ციმბირის ულამაზესი მდინარეები ირტიში, ენისეი, ანგარა, ინახულა ციმბირის ბუნების მარგალიტი — ნამდვილად ზღაპრული სილამაზის ტბა ბაიკალი, მისი ტყეები და ტაიგა.

ანსამბლი ეწვია ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქს ულანუდეს. კონცერტმა, რომელიც გაიმართა ახლად აშენებულ ოპერის თეატრის შესანიშნავ შენობაში, დიდი ინტერესი გამოიწვია და მოწონება დაიმსახურა მშრომელებში, რომლებიც განსაკუთრებით გულთბილად მიესალმნენ მოძმე ქართველი ხალხის წარმომადგენლებს.

უკან დაბრუნებისას ანსამბლი ხანგრძლივად შეჩერდა კუზბასის მეშახტეთა ქალაქებში კემეროვოში, სტალინსკში, პროკოპიევსკში, ანჟერში, იურგაში, კისელევსკში, ბელოვოში და სხვ. დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ კუზბასის მეშახტეები იმის გამო, რომ მათ საშუალება მიეცა გასცნობოდნენ ქართულ ხალხურ შემოქმედებას, წარმოდგენილს ასეთი მრავალრიცხოვანი (120 კაცის შემადგენლობით) კოლექტივის სახით. მეშახტეებმა ანსამბლს უსახსოვრეს ამ მიზნისათვის სპეციალურად გაკეთებული მეშახტის ელექტრონათურა წარწერით: „ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს კუზბასის მეშახტეებისაგან".

საგასტროლო მოგზაურობა ანსამბლმა დაასრულა მოსკოვში, სადაც სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამართა რამდენიმე კონცერტი.

ანსამბლის დირექტორი პ. მურღულია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ანსამბლის კონცერტი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მოცეკვავეთა ჯგუფი ასრულებს ცეკვა „დავლურს".

# ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასი

გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის. ამ დღეებში მორიგი მატჩები შედგა მოსკოვსა და კიევში. კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 2:1. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „ტორპედო" და „ლოკომოტივი". მატჩი მოიგეს რკინიგზელებმა 4:1.

გუშინ მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრა. თამაშობდნენ მოსკოვის „დინამოსა" და მინსკის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

## „ბურევესტნიკის" ძალოსანთა წარმატება

მიმდინარე სასპორტო სეზონში ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ძალოსნობაში მოეწყო კიევში. აქ ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოსა და სხვა გუნდები.

საქართველოს გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და „ბურევესტნიკის" ჩემპიონი გახდა.

## დამთავრდა „ბ" ჯგუფის პირველობა კალათბურთში

გორში ერთ კვირას გრძელდებოდა შეჯიბრება კალათბურთში საქართველოს 1955 წლის პირველობაზე „ბ" ჯგუფის ქალ-ვაჟთა გუნდებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, გორის, თელავის, სამტრედიის, ზუგდიდის და სხვა გუნდები.

შეჯიბრებაში ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელი კალათბურთელები, მეორე ადგილი დაიკავა ბათუმის გუნდმა, მესამე — გორელმა სპორტსმენებმა.

ქალთა გუნდებიდან პირველობა ხვდა ბათუმის კალათბურთელთა ნაკრებ გუნდს, მეორე — ჭიათურის კოლექტივს. მესამე ადგილი დაიკავა ხაშურის გუნდმა.

გამარჯვებულ კოლექტივებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ გარდამავალი თასი და დიპლომები. პირველ ადგილზე გამოსული კალათბურთელები მომავალ წელს მონაწილეობას მიიღებენ „ა" ჯგუფის კალათბურთელთა შეჯიბრებაში რესპუბლიკის პირველობაზე.

რედაქტორი ნ. ჯაში.


რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

**ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚ-ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ** მიიღებიან მუდმივ შტატში სამუშაოდ ახალგაზრდები (ვაჟები).

განცხადებები მიიღება და პირობების გაგება შეიძლება თეატრის საქმეთა მმართველთან დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ**

7 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

**Ფ Ე Ხ Ბ Უ Რ Თ Ი**

სსრ კავშირის პირველობა „ბ" კლასის გუნდებს შორის

**ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ**

დასაწყისი 6 ს. და 30 წ.

ბილეთები გაიყიდება 7 აგვისტოს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

მოქალაქე შოთა ივანეს-ძე ნანეიშვილმა, მცხოვრებმა კახეთის გზატკეცილი № 1, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ ლოლა არსენის ასულ ძიძიგურთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-5 უბნის სახალხო სასამართლო.

ძმა რევაზ, და ნინო, შვილები მიშა, ვახტანგ ოჯახებით იუწყებიან

**მიხეილ ზაქარიას-ძე სვიმონიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7,8-VIII, 9 ს. გამოსვენება 9-VIII, 6 ს. ზასულიჩის ქ. № 25.

**Დ Ღ Ე Ს**

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, სპარტაკი, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ლიანა, ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — სიყვარულის ასაკი, კოლხიდა (საზამთრო) — ვარსკვლავები ფრთებზე, კომკავშირელი — ავარა (I და II სერია), კოლხიდა (საზაფხულო) — ცოცხალი ლეში, ისანი — კაროლა ლამბერტი (საზამთრო), დოქტორ ვაგნერის საქმე (საზაფხულო), 26 კომისრის სახელობის — ძახველის ჰალა (საზამთრო), ტრაქტორისტები (საზაფხულო), დიდუბე — კლოუნის ბედი (საზამთრო), ბედის მოწოდება (საზაფხულო), კოლმეურნე — კრაზანა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ვატერლოოს ხიდი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ანა კისერზე.

**„ᲡᲐᲥᲣᲜᲘᲕᲔᲠᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ" ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ** აცხადებს მომხმარებლების საყურადღებოდ, რომ თანახმად სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს ბრძანებისა № 1234 ა. წ. 10 აგვისტოს მაღაზია № 7 (პლეხანოვის პროსპ. № 189) აწარმოებს მსუბუქ ავტომანქანა **„ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘᲡ"** ავანსების მიღებას და ვალდებულებების გაცემას.

„საქუნივერვაჭრობა"

მეუღლე ელენე, შვილები ზაურ, ლამზირა, ძმები ნიკოლოზ, შოთა ოჯახებით იუწყებიან

**გრიგოლ ექვთიმეს-ძე ვახაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-VIII ქ. მახარაძეში, გამოსვენება გურიის პროსპექტი № 5.



ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03981 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.